# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 30 იანვარი. 2020 წ. №17 (8943) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


გიორგი გახარია:

## მწვავე კითხვებისა და პასუხების არც ქვეყნის შიგნით, არც ქვეყნის გარეთ არასოდეს შეგვშინებია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია კონგრესმენების წერილთან დაკავშირებით აცხადებს, რომ რა სახის კითხვებიც არ უნდა დაისვას სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან, ყოველთვის მზად არიან, მას დიალოგის რეჟიმში უპასუხონ.

**„წერილი მინდა თუ სიხარული, რა თქმა უნდა, თქვენგან მნებავს სიხარული. ისე, რომ იცოდეთ, ამ კითხვაზე საავტორო უფლებები ჩემია,ისევე, როგორც თვალის ჩაკვრაზე... თუ სერიოზულად გაინტერესებთ, რაც შეეხება კონგრესმენებს, ერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სტრატეგიულ პარტნიორებს შორის რა სახის კითხვებიც არ უნდა დაისვას, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ამ კითხვებზე დავსხდეთ და ვისაუბროთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, სადაც არ უნდა დაისვას მწვავე კითხვები, რომელიც ეხება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციას, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ ურთიერთობას“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ. პრემიერის თქმით, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები და განვითარება შეუქცევადია. გახარია ამბობს, რომ ყველა მწვავე კითხვას, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, პასუხი გაეცემა.

**„ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები და განვითარება არის შეუქცევადი. შეიძლება ჩვენს კოლეგებს აქვთ კითხვის ნიშნები, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არასოდეს შეგვშინებია მწვავე შეკითხვების, არც მწვავე პასუხების გაცემის შეგვშინებია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ასე რომ, წყნარად, მშვიდად, ყველანაირ კითხვაზე იქნება გაცემული პასუხი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ. ამასთან, გიორგი გახარია აცხადებს, რომ საქართველოს რეგიონში ყველაზე მზარდი ეკონომიკა, ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა აქვს.

**„რაც შეეხება გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ყველაფერი არის შედარებითი, საქართველოს აქვს რეგიონში ყველაზე მზარდი ეკონომიკა, ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ჩვენი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება, საქართველოს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები იზრდება. ქვეყანას აქვს მთელი რიგი გეგმა სტრუქტურული რეფორმების, რომელთა შესახებაც ჩვენ დონორებთან ვისაუბრეთ და დონორებთან რომ ვსაუბრობთ, რას ნიშნავს, ის სტრუქტურული რეფორმები, რაც ტარდება, მათი მხარდაჭერით უნდა ჩატარდეს, როგორც ფინანსური, ასევე ყველა სახის“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

## როცა გლობალისტები მტრობას მეგობრობად ასაღებენ!

2 3

ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ტრამპის საწინააღმდეგოდ ახალი პოლიგონის მოსამზადებლად არის ჩაფიქრებული!

## პოლიტიკური ჩიტის დევნაში!

4

ლოგიკური გაგრძელება ოდნავი დაგვიანებით

„ჩაწყობილი“ ვირუსი

## რატომ მაინცდამაინც ჩინეთში?

11

წკეპლიკა

## როცა არცოდნა ცოდვაა და ცოდნა — უარესია!



### ჭასოხარ ქ-ნ ინგა გრიგოლიას

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის სიტყვით გამოსვლა ტრადიციულად ხელზე დაიხვიეს „ქართულ ოცნებასთან“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა და, ექსტაზში შესულებმა, სხვისთვის დაგებულ მახეში თვითონვე კრეს თავი!**

აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილმა „პირუთვნელმა“ ტელეარხმა „პირველმა“, კერძოდ, მისმა დირექტორმა და, ყოველგვარი ირონიის გარეშე, გაწაფულმა ტელეწამყვანმა ინგა გრიგოლიამ, რომ იტყვიან, ჭიქა წყალში ქარიშხალი ატეხა და, საცხა პარიზში დაბადებულსა და განსწავლულს, ევროპის რომელიღაცა ქვეყნებსა და, მათ შორის, გაეროს სტრუქტურებში ნამსახურებ დიპლომატს, ამჟამინდელ საქართველოს პრეზიდენტს სიტყვით გამოსვლაში „უდიერი“ შეცდომა დაუჭირა: პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ბატონი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პრეზიდენტად მოიხსენიაო! თან, დოკუმენტური არგუმენტაცია შესთავაზა ტელემაყურებლებს, ვიდეოფრაგმენტი მისი გამოსვლიდან.

მართალი გითხრათ, ნამდვილად ვცქვიტე ყურნი და სულგაკმენდილი მივაჩერდი ეკრანს და, ჰოი, საოცრებავ! — **სრულიად ადამიანურ ინგლისურ ენაზე ქალბატონმა პრეზიდენტმა არ გავკადნიერდებით და უკლებლივ ყველა ტელემაყურებლისთვის არ დავძენთ, მაგრამ, მათთვის, ვინც ინგლისურ ენას არ ფლობს, ავხსნით, რომ „თავმჯდომარე“ ინგლისურად, რაგინდ დიდი წადილი ჰქონდეს მავანსა და მავანს, მხოლოდ ასე გამოითქმის — „პრეზიდენტი!“**

ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ნაფაღაურელმა (ინგას სოფელია სამტრედიის რაიონში) ქალბატონმა ჟურნალისტმა ეს არ უწყოდეს! თუ მაინცდამაინც წარმოუდგენელს წარმოიდგენთ, მაშინ ეს საცოდაობაა, ხოლო, თუ იცის, და მაინც, ანუ განგებ ამკობს იმის იმედით, რომ „ბრბოდ“ მიჩნეული მაყურებელი ამას უპრობლემოდ „ჭამს“ და ქალბატონი პრეზიდენტისადმი ცუდად განაწყობს, — მაშინ ნამეტნავად უკადრისი საქციელია!

**გიზო ზარნაძე,**
**უპარტიო ჟურნალისტი.**
**28.01.2020 წ.**

მხატვარი

## შალვა მატუაშვილის გარჯა და დაღლა...

7


MAGTI


ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!

## საქართველოში ლავროვის ვიზიტი გავრილოვის გამო ბოდიშის მოხდის შემდეგ შედგება?!

8

## ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜ ᲝᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ყოფილი თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, საზოგადოება ხედავს, რომ ასეთი ფორმით საუბარი, როგორითაც კონგრესმენი ოლსონი საუბრობს, მიუღებელია.

**„კონგრესმენ ოლსონს განცხადებაში ჰყავს ნახსენები პუტინი და თუ ვინმეს აძლევს ხელს კონკრეტული კონგრესემენის ასეთი განცხადება, ეს არის სწორედ ვლადიმერ პუტინი. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ კონგრესმენი ასეთი ტერმინოლოგიით არ უნდა საუბრობდეს. ეს არის მიუღებელი და ასეთი რამ აზიანებს ზოგადად აღქმას საზოგადოებაში და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ, თუ ვინმეს აძლევს ეს ხელს, ეს არის ვლადიმერ პუტინი. მოვუწოდებ კონკრეტულ კონგრესმენს, რომ არ გააკეთოს პუტინის სასარგებლო განცხადებები“,** — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ამერიკელმა კონგრესმენმა პიტ ოლსონმა კონგრესში სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მარიონეტი უწოდა და კონგრესმენებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ საქართველოში საპროტესტო მოძრაობას და ხმა აიმაღლონ საქართველოში თავისუფლების დასაცავად. მმართველმა გუნდმა კონგრესმენებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით აშშ-ში შეხვედრები დაგეგმა.

## ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ: ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ

**„ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, რომლებსაც ჩვენ ვისმენთ, სცდება ყოველგვარ მეგობრულ ურთიერთობას. იცით, რომ ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა. შესაბამისად, სტრატეგიული პარტნიორის კანონმდებლები ასე არ უნდა ესაუბრებოდნენ მეგობარ ქვეყანას. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება საეჭვო რეპუტაციის მქონე ერთ კომპანიას. ჯერ კიდევ ჩემი მინისტრობის დროს არსებობდა ეს პრობლემა და ძალიან კარგად ვიცი, თუ რას წარმოადგენს ეს კონკრეტული კომპანია, „ფრონტერა“ მაქვს მხედველობაში. ჩვენ დავიწყეთ საქმის წარმოება, საერთაშორისო არბიტრაჟში არის საქმე და დარწმუნებული ვარ, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ისინი აუცილებლად წააგებენ ამ საქმეს და გააძლიერეს თავიანთი ლობიზმი. თუმცა, ჩვენ აუცილებლად დავიცავთ სახელმწიფო ინტერესებს და ჩვენს კომპანიებს, როდესაც მართალი ვართ. სწორედ ამიტომ არის საქმე საერთაშირისო არბიტრაჟში და დარწმუნებული ვარ, რომ ნავთობისა და გაზის კორპორაცია ამ დავაში აუცილებლად გაიმარჯვებს“...**

## ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲑᲝᲙᲣᲩᲐᲕᲐᲡ ᲛᲘᲣᲐᲡ „ᲢᲘᲢᲣᲨᲙᲐ“ ᲓᲐ „ᲛᲝᲜᲐ“ ᲣᲬᲝᲓᲐ

**ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ თინა ბოკუჩავასა და მამუკა მდინარაძეს შორის გუშინ სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც ბოკუჩავამ მდინარაძეს „ჭანჭიკი“ და „სამარცხვინო“ უწოდა, მდინარაძემ კი — მიშას „ტიტუშკა“ და „მონა“. თინა ბოკუჩავა პარლამენტში მალხაზ მაჩალიკაშვილის შეშვებას ითხოვდა.**

მამუკა მდინარაძემ თინა ბოკუჩავს უთხრა, რომ მაჩალიკაშვილი პროვოკაციის საფრთხის გამო არ შეუშვეს შენობაში, ეს გადაწყვეტილება კი პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო. მდინარაძემ ბოკუჩავა მაჩალიკაშვილით სპეკულირებაში დაადანაშაულა: **„შენ ხარ მიშას „ტიტუშკა“. თქვენ ხართ პროვოკატორები და უზნეო ხალხი, მიშას მონები“,** — უთხრა მდინარაძემ ბოკუჩავს.

**„შენ მანდატს არ იმსახურებ. შენ ხომ არავინ ხარ, ჩვეულებრივი ჭანჭიკი ხარ“,** — უპასუხა თინა ბოკუჩავამ მამუკა მდინარაძეს. დილით პარლამენტთან ხმაური და დაპირისპირება იყო, რა დროსაც მალხაზ მაჩალიკაშვილი შეუძლოდ გახდა.



**ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲝᲒᲐᲕᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ჯგუფი, რომელიც ცდილობს მიხეილ სააკაშვილი მოაბრუნოს ხელისუფლებაში და ეს არ წარმოადგენს აშშ-ის ინტერესს. გოგავა ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ, საზოგადოებამ უნდა მიმართოს როგორც ტრამპის ადმინისტრაციას, ასევე სენატის ხელმძღვანელობას და აუხსნან, რა ხდება საქართველოში!!!**

**„ოცნების“ ხელისუფლება ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებს. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲝᲒᲐᲕᲐ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.**

# ᲠᲝᲪᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲢᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲓ ᲐᲡᲐᲚᲔᲑᲔᲜ!

**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ!**

**— „გამაფრთხილებელი გასროლა“ — აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის მაიკლ კარპენტერის ეს ფრაზა აშკარად მიუთითებს დასავლეთიდან წამოსული წერილების მიზანზე. ექსპერტების და ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილი ხელს „ნაციონალებისა“ და „ევროსაქების“ ლობისტებისკენ იშვერენ. ლობისტურ საქმიანობას შეიძლება, დავუკავშიროთ NDI-ის კვლევები, როცა დავით ბაქრაძეს ყველაზე მოსაწონ პოლიტიკოსად გვასაღებენ, მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ ხელისუფლებასთან მიმართებით, ზღვარი პრაქტიკულად წაშლილია ლობიზმსა და „შავ პიარს“ შორის? რას ნიშნავს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ გაშლილი კამპანია და რამდენად შეიძლება ეს ორკესტრირებული შეტევა განვიხილოთ დასავლეთის ოფიციალურ პოზიციად?**

— ცოტა შორიდან დავიწყოთ — 70-80-იან წლებში, აშშ-ში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სხვადასხვა უცხოურ ქვეყანაში ახორციელებდა გარკვეული პოლიტიკური პროდემოკრატიული ფიგურების მხარდაჭერას, რაც აბსოლუტურად ნორმალური იყო, ვინაიდან, მაშინ კონკურენცია მიმდინარობდა საბჭოთა იმპერიის და აშშ-ის შორის. 1983 წელს პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა** გადაწყვიტა, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო დაზვერვის საქმე და უნდა გაკეთებულიყო ღიად, რათა ქვეყნებში დემოკრატიზაციისთვის ხელი შეეწყოთ. მან დააარსა რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის NDI, IRI — დემოკრატიის განვითარების ფონდი, პროფკავშირების ორგანიზაცია.

ტრადიციულად, ეს ორგანიზაციები ფინანსდება ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტის თანხით. კერძოდ, USAID-ის თანხით. მოგეხსენებათ, რომ USAID არის სახელმწიფო დეპარტამენტის ქვეშ მყოფი სტრუქტურა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სახელმწიფო დეპრატამენტი. ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიშალა საბჭოთა კავშირი, ამერიკა დარჩა სერიოზული მეტოქის გარეშე და ამერიკული პოლიტიკური სისტემა მოეშვა. გაჩნდნენ ინტერესთა ჯგუფები, ბიზნესჯგუფები, დიასპორის ჯგუფები, პოლიტიკური იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებული ჯგუფები და შემდეგ ამ ჯგუფებს შორის დაიწყო ერთგვარი შიდა კონკურენცია, რომელთაც სერიოზული გავლენები აქვთ და მათ შორის ჩვენი მიმართულებით.

**— საქართველოს მიმართულებით რა ჯგუფი აქტიურობს?**

— ჩვენი მიმართულებით აქტიურობს ე.წ. ნეოკონსერვატორების ჯგუფი, ე.წ. ჯონ მაკკეინის ჯგუფი, რომელშიც შედის ბევრი ჩვენთვის ნაცნობი სახე, მაგალითად, მაიკლ კარპენტერი, მეთიუ ბრაიზა, გადამდგარი გენერლები — დენიელ ფრიდი, დევიდ კრამერი და იგივე, ახლახან გააქტიურებული კონგრესმენი ადამ კინსინჯერიც.

ეს ხალხი 24 წლის განმავლობაში ბუშების, კლინტონების და ობამას პრეზიდენტობის ჟამს ახდენდნენ თავისი თანამებრძოლების და პარტნიორების სამსახურში მოწყობას როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში, ასევე USAID-ში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლების ცენტრებში. ისინი ძალიან გაწაფული არიან საგარეო პოლიტიკის მანიპულაციებში, იციან, როგორ დაგეგმონ სცენარი სხვადასხვა ქვეყანაში. მეორე, მესამე, მეოთხე ეშელონებში ჰყავთ დასაქმებული თავიანთი ხალხი და გავლენას ახდენენ ისეთ ორგანიზაციებზე, როგორიც, მაგალითად, არის NDI, IRI.

**— კვლევები, რაც საქართველოში ტარდება, ამ სცენარის ნაწილია?**

— რა თქმა უნდა. მიზანი გახლავთ ის, რომ მათთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ ფიგურებს და პოლიტიკურ პარტიებს დაუწერონ მეტი რეიტინგი და შეუქმნან ხელსაყრელი პირობები, რომ სხვას აჯობონ. ამიტომ ხდება კვლევების გაყალბება პოლიტიკური რეიტინგის ნაწილში. საქართველოში, ფაქტობრივად, მათ ექსკლუზიურად მოიპოვეს ეს უფლება, ვინაიდან, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ვერ უზრუნველყო ალტერნატიული წყაროების გაჩენა.

მაგალითისთვის, უკრაინაში 10-ზე მეტი ადგილობრივი კვლევითი ცენტრი არსებობს, იქ NDI-იც მუშაობს და IRI-იც, მაგრამ ქვეყნდება ნორმალური კვლევები, ვინაიდან აზრი არ აქვს გაყალბებას, არის ალტერნატივა და ხალხი შედარებისთვის იყენებს სხვა წყაროებს. ამიტომ ტარდება უკრაინაში ნორმალური კვლევები. ჩვენთან ასეთი ექსკლუზივი აქვს NDI-ის. დაახლოებით იგივე სიტუაცია არის სამოქალაქო სექტორში, სადაც არსებობს 7-8 დანიშნული ორგანიზაცია, ე.წ. ენჯეო, რომელიც უხვად ფინანსდება ასევე უცხოური ფულით.

**— ჩვენთან, როგორც ჩანს, არ არის ინტერესი, რომ არსებობდეს ალტერნატიული ორგანიზაციები, სხვა რით შეიძლება აიხსნას მათი არარსებობა? ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები კი პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს ატარებენ.**

— „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს ატარებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას ავალებენ სპონსორები. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ნეოკონსერვატორების ჯგუფის მოკავშირე და, ცხადია, ავალებენ ამ მიმართულებით მუშაობას. მაგალითისთვის გეტყვით, როგორ მოაგვარა ეს პრობლემა პოლონეთმა და უნგრეთმა, სადაც არ აუკრძალავთ უცხო ქვეყნის გრანტებით დაფინანსებული ორგანიზაციების მოქმედება. უბრალოდ, მათ მიიღეს კანონი — 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის შესახებ, რომელიც არსებობს პოლონეთსა და უნგრეთში. კერძოდ, ადამიანებს, ვინც იხდის საშემოსავლო გადასახადს, ყველას მიეცა უფლება, რომ ამ 20%-დან ერთი პროცენტი გადაურიცხონ იმ კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ამ ადამიანებს მოსწონთ. ზოგი ეკოლოგიურ მოძრაობას ურიცხავს, ზოგი — კატების უფლებების დამცველ ორგანიზაციას, ზოგი — დემოგრაფიული პრობლემების დამცველ ორგანიზიციას, ზოგიც — რელიგიურ ორგანიზაციას და ა.შ.

**იქაც არსებობენ ეს სოროსის ფონდები, ლიბერალური და გლობალისტური მიმართულების ორგანიზაციები, მაგრამ ისინი ამინდს ვეღარ ქმნიან, რადგან ხალხი თვითონ აფინანსებს იმ „ენჯეოს“, რომელიც თავად მოსწონს. ისინიც ყველანი ცდილობენ, მოაწონონ ხალხს თავი, ისეთი საქმეები აკეთონ, რაც საზოგადოების ინტერესშია, რათა მეტმა ადამიანმა ჩაურიცხოს ეს ერთი პროცენტი. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ, ეს ერთი პროცენტი არც ერთ ორგანიზაციას არ გადაურიცხოთ და ასეთ შემთხვევაში, ეს თანხა ბიუჯეტს მიაქვს. ჩემი აზრით, ეს არის იდეალური გამოსავალი საქართველოსთვის, ვინაიდან, დღეს რა სიტუაციაც გვაქვს — დემოკრატიის ფონდები ამ ყალბი კვლევების გამოქვეყნებით ფაქტიურად აფერხებენ როგორც პოლიტიკური საზოგადოების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასაც.**

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲜ ᲞᲝᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲛ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲐᲛ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲐ-

**ᲔᲠᲗᲝ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲘᲜᲝᲜ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲨᲘᲝ. ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲕᲐᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ.**

რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ ამერიკელებს, აშშ-მა დიდი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გაძლიერებაში, 90-იან წლებში შიმშილისგანაც კი გადაგვარჩინეს, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოდან უკვე იწყება ინტერესთა ჯგუფების მოქმედება და საბოლოო ჯამში მივედით იქამდე, რომ ამ მანიპულაციის გზით გვაომეს ბირთვულ სახელმწიფოსთან. მაშინ მაკკეინის არჩევნებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, ფაქტობრივად მოგვიწია რუსეთთან ომში ჩართვა, რაც ნეოკონსერვატორების დამსახურება იყო.

**— იმას ამბობთ, რომ გააზრებულად ჩავერთეთ რუსეთთან ომში?**

**— სააკაშვილმა აბსოლუტურად გააზრებულად გადადგა ეს ნაბიჯი, ნეკონსერვატორების თხოვნით. უბრალოდ, მოხდა ისე, რომ აგვისტოდან ნოემბრამდე ვერ გაძაჩეს სომარი მოქმედებები. ალბათ, არ ელოდნენ, რომ რუსები გადმოვიდოდნენ ცხინვალის აქეთ ტერიტორიაზე. შედეგად მივიღეთ რა — კიდევ უფრო მეტი ოკუპაცია, მსხვერპლი, ლტოლვილები, ნგრევა — ამას მოაწერა ხელი სააკაშვილმა. ახლა ისევ აპირებს საქართველოში დაბრუნებას და ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი იმისკენ არის მიმართული, რომ ტრამპისთვის შეიქმნას კიდევ ერთი ახალი დაძაბულობის კერა, ვინაიდან, დღეს, აშშ-ში ნებისმიერი ანტირუსული მუხტი ტრამპის წინააღმდეგ იქნება მიმართული, რადგან დემოკრატები მას აკერებენ იარლიყს, რომ ის არის პრორუსების ჯაშუში და უგონებენ საოცარ ზღაპრებს.**

მე ვფიქრობ, რომ ტრამპი არის ანტიგლობალისტური მოძრაობის ლიდერი მსოფლიოში, ისევე როგორც ბრიტანეთში ბრექსიტის მამები კონსერვატორები. ამას აუცილებლად მოჰყვება იგივე სიტუაცია საფრანგეთში, მარი ლეპენი გავიდა პირველ ადგილზე, 2022 წელს იქნება არჩევნები და მას წარმატების დიდი შანსი აქვს. ლეპენი აპირებს ბრექსიტის მსგავსად ჩაატაროს რეფერნდუმი. იგივე მოძრაობები არის უნგრეთში, პოლონეთში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ტალღა საქართველოშიც არის შემოღწეული. ეს არის ტრენდი, გლობალისტების ვექტორი ზევით მიდის, რაც არ შეიძლება. ახლა, დავოსში შეიკრიბნენ და ეს გლობალისტების პლატფორმაა, მათ სურთ, რომ პლანეტის გადარჩენის მიზნით თავს მოგვახვიონ თავიანთი ცხოვრების წესი, ჩვენი პირადი ცხოვრების ყველა ასპექტში. ამისკენ მიდის და არ გამოვრიცხავ, რომ რაღაცა გადასახადებიც კი დაგვიწესონ, შეზღუდვები დაგვაკისრონ. ცნობილია, რომ გლობალისტებს სურთ მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება და მათ მიერ დაწესებული წესებით გვაიძულონ, ვიცხოვროთ — წაიშალოს ეროვნული სახელმწიფო, არ არსებობდეს საზღვრები, ეს არის მათი ამოცანა და ამას ტრამპი პირდაპირ პასუხობს, რომ ეროვნული სახელმწიფო უნდა შენარჩუნდეს. ამას ვამბობთ ჩვენც. რა თქმა უნდა, ეკოლოგიაში არის ბევრი პრობლემა, მაგრამ ამას დავოსში ასეული მილიარდერის შეკრება, ლაპარაკი და ახალი წესების თავს მოხვევა არ სჭირდება, არამედ ამას სჭირდება ის, რომ ამ მილიარდერებმა თავისივე მეტალურგიულ ქარხნებს დაუყენონ ძვირადღირებული ფილტრები, რომ მხუთავი ჰაერის რემისია შეწყდეს.

**— პრაქტიკულად, იმპერიათა ჭიდილში არის მოყოლილი საქართველო, ამ შემთხვევაში, რას ვამბობთ, განწირულები ვართ? საქართველომ რა გავლენა უნდა მოახდინოს ამ პროცესებზე? ჩვენ ჩვენი შიდა პროცესები გვაქვს, ამ ხელისუფლების ავკარგიანობა ცალკე თემაა, მაგრამ ისევ დგას „ნაციონალური მოძრაობის“ მობრუნების საფრთხე, რაზეც თქვენ ისაუბრეთ. თუ ასეთი ძლიერი ხელშეწყობა ექნებათ, მაშინ რა უნდა დაუპირისპიროს ამ პროცესებს საქართველოს ხელისუფლებამ, საზოგადოებამ, თუ განწირულები ვართ?**

— მე ვფიქრობ, რომ გლობალისტებს და ანტიგლობალისტებს შორის გლობალურ ბრძოლაში ჩვენ გადამწყვეტ როლს ვერ ვითამაშებთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი საზღვრების ფარგლებში გამოვხატოთ პოზიცია. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ერთმნიშვნელოვნად აქ არის ის ჯგუფი, რომელიც ცდილობს, სააკაშვილი მოაბრუნოს ხელისუფლებაში და ეს არ წარმოადგენს აშშ-ის ინტერესს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ, საზოგადოებამ უნდა მიმართოს ტრამპის ადმინისტრაციას, სენატის ხელმძღვანელობას, რომელსაც რესპუბლიკელები აკონტროლებენ და აუხნას, რომ მსგავსი რაღაცები ხდება საქართველოში. ჩემი აზრით, ამას ვერ ახერხებს დღევანდელი ხელისუფლება. ამას ორი მიზეზი აქვს — ერთი არაკომპეტენტურობა და მეორე, ის გუნდი, რომელსაც ვითომ მიჰყავდა საგარეო საქმეები, შუა გზაზე მიატოვა თავისი გუნდი, არ იგრძნო პასუხისმგებლობა და გავიდნენ ჩრდილში. ვფიქრობ, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ხდება იმიტომ, რომ ტრამპის საწინააღმდეგოდ მომზადდეს ახალი პოლიგონი.

ამერიკაში როგორი სიტუაციაა?!

60-70-90-იან წლებში საბჭოთა კავშირის მასირებული პროპაგანდა მიდიოდა, ამერიკელებს ეგონათ, რომ დღეს არა და ხვალ, რუსები ბირთვული იარაღით დაბომბავენ. ეს ბავშვობის შიში დღემდე ჩამჯდარი აქვთ მათ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბავშვობის შიში არსად არ მიდის. თუ ჭკვიანურად გამოიყენებ, მისი რეაქტივაცია მარტივად შეიძლება, რასაც აკეთებენ კიდევაც ერთმანეთის წინააღმდეგ. მაგალითად, ეს იყო 2004 წელს, როდესაც ცხინვალის მიმართულებით დაიძაბა ვითარება. მაისში დაიწყო სროლები და დამთავრდა ამერიკის არჩევნებიდან სამ დღეში. ეს ყველაფერი გაკეთდა მხოლოდ იმისთვის, რომ კარგი ფონი შეექმნათ მაშინ ბუშისთვის, რომელმაც სულ 2%-ით მოიგო, ის უფრო ანტირუსულ პოზიციებზე იდგა.

ასევე, ეს გაკეთდა 2008 წელს მაკკეინის მოსაგებად და მაკკეინმაც ომის დღეებში სერიოზულად ამოქაჩა რეიტინგი, შემდეგ დაეცა და ობამამ ისევ დაიბრუნა რეიტინგი. როგორც ჩანს, იმავეს გამოყენება უნდათ ახლაც, რომ ხელი შეეწყოს ანტირუსულ დემოკრატიულ ლიდერს ჯო ბაიდენს და ხელი შეეშალოს ტრამპს. ეს ნეოკონსერვატორები ხან ერთ პარტიასთან არიან, ხან მეორესთან. დღეს ისინი აშკარად ტრამპის წინააღმდეგ გამოდიან. უნდათ, ეს სურათი დაანახონ ტრამპის ადმინისტრაციას, მისი კამპანიის მენეჯერებს, სენატში გავლენიან რესპუბლიკელებს, სენატის ხელმძღვანელს, სახელმწიფო დეპარტამენტის ტოპ მენეჯერსაც. თუ ამას არ გააკეთებენ, სხვანაირად როგორ უნდა დაიცვან თავი.




**— დღეს საქართველოში მეტად საინტერესო მოცემულობა გვაქვს — ნაციონალების და მათი განაყოფების წინააღმდეგ დგომა ქოცობას ნიშნავს და ძალიან ბევრი ანალიტიკოსი თუ ექსპერტი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და „ევროპული საქართველოსთვის“ ცდილობს კოჭის გაგორებას, რადგან ეშინიათ, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა არ დასწამონ. ეს მათი პრობლემაა, თუმცა ეს ყველაფერი გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და რაც ყველაზე უარესია, ის პოლიტიკოსები, რომლებსაც გამყიდველებს და მოღალატეებს ეძახდნენ, დღეს მათივე შეურაცხმყოფლების გვერდით დგანან. ეს რა ფენომენია?**

— ეს არ არის ფენომენი, ეს არის იმის შედეგი, რასაც ათწლეულებია, საქართველოში ახორციელებენ. ეს არის სინჯარაში გამოყვანილი პარტიების ბოგინი. საქართველოს არ ეძლევა საშუალება, რომ საზოგადოებაში აღმოცენდეს ახალი პოლიტიკური პროექტები, ვინაიდან, მთელი მედია და ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ტელევიზიებს, რომლის 80% ეკუთვნის ისევ ამ პარტიებს, აქვთ თავიანთი სპიკერების სიები, რომელიც, პრინციპში, ერთნაირია ყველა ტელევიზიაში, უბრალოდ სიხშირეებია განსხვავებული. სწორედ ამაზე ვსაუბრობ, როდესაც ვამბობ, რომ **NDI აფერხებს დემოკრატიის განვითარებას საქართველოში. ეს უნდა შეიცვალოს და ამაში აქტიური როლი შეუძლია, მიიღოს ხელისუფლებამ. მან უნდა გახსნას პოლიტიკური ველი საზოგადოებისთვის. დღეს საზოგადოება არავისთან არ არის. იგივე ამ NDI-ის კვლევა აჩვენებს, რომ 55%-ს საერთოდ არ აძვს არჩევანი, დარწმუნებული ვარ, მათი რიცხვი უფრო მეტია, თუ ჩავთვლით, რომ ნაციონალებისთვის მომატებული აძვთ რეიტინგი, დაახლოებით 60%-ისთვის მიღებელია ის, რაც ხდება. თუ ჭკუა აძვს ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში, ხელისუფლების მოკავშირე უნდა გახდეს საზოგადოება, რადგან სხვა დამცველი ხელისუფლებას არ ეძოლება.**

დამცველში ვგულისხმობ იმას, რომ რევანში არ დაუშვას, თორემ „ქართულ ოცნებასთან“ რეალური პრეტენზიები რაც უნდა ჰქონდეს ჩვენს ხალხს და საზოგადოებას, ეს აბსოლუტურად არ არის არჩევის წესი — პროპორციული თუ მაჟორიტარული. პრეტენზიები უნდა ჰქონდეს ეკონომიკურ საკითხებზე, უმუშევრობაზე, კულტურაზე, საგარეო ურთიერთობებზე და.შ. **ფაქტიურად, გლეხს ვერ გააძვს პროდუქცია, ყველა საზღვარი ჩაკეტილია, ზოგი პოლიტიკის გამო, ზოგი კორუფციის გამო და ამ დროს გვაძვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები და ჩვენი ფულით ჩინეთში და თურქეთში ვძმნით სამუშაო ადგილებს, იმდენი პროდუქტი შემოგვაძვს და ამ დროს საქართველოში არაფერს არ ვაწარმოებთ.**

მაგალითად, ტრამპმა სამ წელიწადში 12 ათასი ქარხანა დააბრუნა ქვეყანაში, 7 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, ანუ ლიბერალიზმის და თავისუფალი ვაჭრობის ფორპოსტი მიხვდა, რომ ეს არის დამანგრეველი გზა. ჩვენ კიდევ მივყვებით მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს. ეს არის საკრიტიკო ხელისუფლებისთვის და არა ის პროპორციული, თუ მაჟორიტარული.

რაც შეეხება ამ პარტიების ერთიანობას, შევაფასებ, როგორც ძიძგილაობას ე.წ. „კარმუშკასთან“ მისასვლელად. ამიტომ არის, რომ ყველა ერთმანეთთან დადგა, მაშინ, როდესაც ერთმანეთი უკანასკნელი სიტყვებით აქვთ ნალანძღი. ვფიქრობ, რომ სერიოზული პოლიტიკური განახლება არის საჭირო.

**— ოპოზიცია როგორც არ უნდა ვაკრიტიკოთ, პასუხისმგებლობა ქვეყანაში არსებულ ვითრებაზე ხელისუფლებაზეა. მის ინტერესში არ არის პოლიტიკური განახლება და ამიტომაც ჰყავს ოპონენტად „ნაციონალური მოძრაობა“, ანუ ხელი ხელს ბანს, პრინციპია...**

— სავარაუდოდ, ასეა, მაგრამ ამ კაშხალს ბზარი აქვს უკვე. ეს კაშხალი დიდი ხნით ვეღარ შეაჩერებს უზარმაზარ წყალს. ადრე თუ გვიან, შეიძლება, გასკდეს და ისევ მოხდეს რევანში. ნამდვილად არ გამოვრიცხავ რევანშს, მით უმეტეს, ბოლომდე ნამდვილად არ ვენდობი ამ ხელისუფლებას. მან შეიძლება საკუთარი უსაფრთხოების გამო ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომელიც კიდევ უფრო დაღუპავს ამ ქვეყანას და ამის დაშვება არ მინდა.

ანუ საზოგადოებამ თვითონ უნდა შექმნას ძალა, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა გახსნას ეს გზა, გახსნას მედია, ბიზნესმენებს არ უნდა აუკრძალოს ახალი და ჯანსაღი პოლიტიკური ჯგუფების დაფინანსება. თუნდაც, საზოგადოებაში გავლენიან უპარტიო ავტორიტეტებს უნდა გაეხსნათ გზა, რომ მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ არჩევნებში, თუნდაც მაჟორიტარებად. თუ არაპარტიული საზოგადოებისთვის გადაკეტილი დარჩება ეს გზები, საქართველოს უახლოესი მომავალი ძალიან ცუდად გამოიყურება.

**— ძალიან ბევრი „თუ“ და „უნდა“ გვაქვს, მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი არ კეთდება, დაზარალებული რჩება საზოგადოება. ხსნას რაში ხედავთ? დავუშვათ, ეს ხელისუფლება გავუშვით, ვინ უნდა მოვიდეს — „ნაციონალური მოძრაობა“და ეს ე.წ. ოპოზიცია?**

— აი, ის, რასაც ითხოვს სააკაშვილი — „ოღონდ, ეს წავიდეს!“, საქართველოს ისტორიაში რამდენჯერმე გვქონდა ეს მიდგომა — „ოღონდ, ეს წავიდეს!“ ამ მიდგომის მომხრე მე პირადად არ ვარ. მომსვლელი უნდა ჯობდეს წამსვლელს, ეს ფაქტია. ვერ ვხედავ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეიძლება, მოვიდეს ახლა ხელისუფლებაში და შეძლებს უსაფრთხოების და სტაბილურობის გამყარებას ქვეყანაში. რამდენიმე დღეში აუცილებლად დაიწყება სერიოზული სამოქალაქო პროტესტები, რატომ? — იმიტომ, რომ არც ერთს არა აქვს ლეგიტიმაცია, თითქმის ყველა უკვე გამოცდილია, რაღაცა ფორმით ნამყოფია ხელისუფლებაში და ვიცით, რომ არაფრის გამკეთებლები არ არიან. დღეს იდეალური გამოსავალი არ ჩანს, ერთადერთ გამოსავლად მიმაჩნია სტიმულირება, საზოგადოების მეტი მონაწილეობა და საზოგადოებაში ახალი ჯანსაღი ძალების გაჩენა. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**— ესეც არ ჩანს... საზოგადოებაც შორიდან უყურებს ამ ყველაფერს და თითქოს არ აინტერესებს პროცესები...**

— ხელისუფლებას რაც შეუძლია, ეს სწორი პოლიტიკის გატარებაა. ვფიქრობ, ჩვენ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გვქონდეს მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთ ვექტორზე დამყარებული. ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორიც უნდა გავხსნათ, ვინაიდან ვაგებთ ბევრს. იმის გამო, რომ ოკუპანტმა არ იხეიროს, ჩვენ რატომ უნდა დავზარალდეთ, ვგულისხმობ აფხაზეთის რკინიგზას, რომელსაც შეუძლია, 200 მილიონი დოლარის მოტანა წელიწადში, იმხელა ტვირთბრუნვა არის შესაძლებელი.

ამას როცა ვამბობ, არც ერთი წამყვანი ტელევიზია ამას არასოდეს არ გამოაქვეყნებს, რატომ? — იმიტომ, რომ ეს არ ჯდება იმ ნარატივში, რომელიც ჩამოყალიბებულია უცხოური ფონდების, იმ მეხუთე კოლონის მეოხებით, რომელიც უცხოური ფულით არის დაფინანსებული. ნებისმიერ ფულს რომ ვალდებულება მოჰყვება, ამას რად უნდა ლაპარაკი. მე ვარ პირველი პარლამენტის წევრი, რომელმაც 2001 წელს პარლამენტში შეიტანა რეზოლუცია საქართველოს ევროკავშირის წევრობის და ნატოსკენ ინტეგრაციის შესახებ.

ექვს ამერიკულ ორგანიზაციაში მიმუშავია. ამერიკელები ჩვენთვის მართლაც უახლოესი პარტნიორები არიან და უფრო მეტი შეგვიძლია ამ პრტნიორობაში, მაგრამ, როდესაც რაღაცა გავლენის ჯგუფები ბოგინობენ და აქ მე მიქმნიან ვირტუალურ რეალობას, ამას ნამდვილად არ უნდა დავეთანხმოთ. ეს ფაქტორი არის მოსახსნელი, თუ ამ ბარიერებს მოუხსნი საზოგადოებას, საზოგადოებაში აუცილებლად დაიბადება ახალი ჯანსაღი ძალები.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# პოლიტიკური ჩიტის დევნაში!

## ლოგიკური გაგრძელება ოდნავი დაგვიანებით

**ერთ კონგრესმენს ღამით თეთრებში ჩაცმული ბოკერია გამოეცხადა და ფურცელი გადასცა:**

**– კონგრესმენო, კონგრესმენო, ეს წერილი რამდენჯერმე გადაწერე და შენს კოლეგებს დაურიგე! იმათ გადაათეთრონ და საქართველოში გაგზავნონ! ვინც შეასრულებს, ექნება „ფრონტერას“ ხელფასი და ათასი დოლარი პრემია. ვინც არა, გახდება ტრამპისტი, და ჰილარის ძუძუები დასწყევლიან.**

**თქვა და თეთრებში ჩაცმული ბოკერია ლორა თორნტონის ოფისში გაუჩინარდა...**

დაიწყო 2020 წელი, და ქართულ პოლიტიკურ ველზე ვითარება საკმაოდ დაიძაბა. უფრო სწორად, კი არ დაიძაბა, არამედ ე.წ. ოპოზიციისა და ე.წ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების წყალობითა და ნაცმედიის ქმედითი მხარდაჭერით, შეიქმნა აპოკალიფსური განწყობა, რომელიც ჯერ „ჰუმან რაით ვოჩის“, შემდეგ NDI-ისა და ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა წერილებს მოჰყვა.

ამ თემაზე ძალიან ბევრი რამ დაიწერა და ძალიან ბევრი რამ ითქვა. ჩვენი გაზეთიც აქტიურად აშუქებს არსებულ ვითარებას, მაგრამ იმ ხალხს, ვინც ცდილობს, რომ საქართველოს მოსახლეობა დაარწმუნოს იმ სისულელეში, თითქოს ოთხ, ხუთ და თუნდაც შვიდ კონგრესმენს (რომელთა წინააღმდეგ სხვადასხვა ფინანსური მაქინაცია – „ლობიზმის“ თაობაზე საკმაოდ საყურადღებო სკანდალებია აგორებული და გამოძიება მიმდინარეობს), შეუძლიათ, შეცვალონ საქართველოსადმი ტრამპის ადმინისტრაციის უპრეცედენტო მხარდაჭერა, ამერიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული ორპარტიული დოკუმენტი და სხვა მრავალი ღონისძიება, რომელიც სტრატეგიული მეგობრობის ფარგლებში ხორციელდება და დაგვიწესონ სანქციები, უკანონოდ ცნონ ჯერ კიდევ ჩაუტარებელი არჩევნები და, მოკლედ, ბოკერია-გვარამია-სააკაშვილის ბოროტი სიზმარი აგვიხდინონ.

დამერწმუნეთ, რომ ეს სრული სისულელეა და ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ამისი არ სჯერა. არა სჯერა, რადგანაც, საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში არსებობენ პოლიტიკოსები, რომლებიც საღი თვალით უყურებენ საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის მიზნებს და რეალურად აფასებენ ამ ე.წ. „ყალბი დემოკრატიის ბაირახტრების“ მოქმედებებს.

ამ ყველაფერს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა:

26 იანვარს საქართველოს „პატრიოტთა ალიანსმა“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ხალხმრავალი აქცია ჩაატარა, რასაც, მიუხედავად საშინელი ქარსუსხიანი ამინდისა, 10000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო!

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, „ენდიაი“ წლებია, საქართველოში სიცრუის გავრცელებითაა დაკავებული.

როგორც ინაშვილმა თბილისში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან აქციაზე განაცხადა, საქართველოში „ენდიაისა“ და „აირაის“ საქმიანობა უნდა აიკრძალოს!

ამასთან, ინაშვილი სამართალდამცველებს მოუწოდებს, რომ უნდა დაიწყოს გამოძიება კორუფციის ფაქტებზე.

**„ჩვენ არ ვართ არავის კოლონია, ერთად უნდა ვუთხრათ არა – ტყუილს, „ენდიაის“, „აირაის“. ხმამაღლა ვამბობთ ამერიკის საელჩოს წინ: უნდა აიკრძალოს საქართველოში მათი საქმიანობა, წავიდნენ და დატოვონ საქართველო. 90-იანი წლებიდან დღემდე არის მხოლოდ ტყუილი, თავზე მოხვევა სააკაშვილების, ბოკერიების, კიდევ უნდათ ამ ლორა თორნტონებს, კრამერებს, სხვებს, რომ 2020-შიც ძალით გაიტანონ... ქართველი ხალხი არ მოგცემთ ამის უფლებას, ყველამ ავწიოთ წითელი ბარათები, ვაჩვენოთ, რომ ამას არ დავუშვებთ. ისე გვიყურებენ, თითქოს ბანანის რესპუბლიკა ვართ. ჩვენ არ ვართ ლორა თორნტონის და კრამერის საცდელი ლაბორატორია, ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუვერენული, ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირსება და არავის წინაშე ამ ღირსებას არ დავთმობთ. დღეს მივმართავთ ამერიკის ხელისუფლებას და ვეუბნებით, იმიტომ მოვედით ამერიკის საელჩოსთან, რომ გადასცეთ ამერიკის ხელისუფლებას ქართველი ხალხის მთავარი სათქმელი – დავიღალეთ, შეურაცხყოფილი ვართ ყველა. არა „ენდიაის“ და არა „აირაის“, არა ტყუილს, ჩვენს შეურაცხყოფას“.**

**დღეს შემიძლია თამამად ვთქვა, რომ „ქართულმა ოცნებამაც“ გამოიჩიჩქნა ყურები და უახლოეს მომავალში აშშ-ის კონგრესში საინფორმაციო შეხვედრებს გამართავს. შეხვედრებს, სადაც შეეცდებიან, რომ დაანახონ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და სრული ინფორმაცია მიაწოდონ როგორც კონგრესმენებს, ასევე დაგულისყურებულ პირებს.**

**რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია. კარგია ის, რომ „ოცნება“ ნელ-ნელა თავისუფლდება იმ ბაყაყის სინდრომისგან, რომელიც მახრჩობელას მზერისგან არის მონუსხული... მაგრამ არსებობს გარკვეული საშიშროება, რომ დელეგაციის წევრების განწყობა არ გადასძალოს ე.წ. „კოჰაბიტაციის“ ნაცადმა სინდრომმა და არ თქვან ის, რაც არის. არ შეალამაზონ ნაცების დანაშაულები და შეახსენონ დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი – კანონის უზენაესობა. კანონის, რომელზეც არ მოქმედებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსების „ნარუშილოვკა“ და ბოკერიამ თუ მელიამ სრულად უნდა აგონ პასუხი იმ დანაშაულებზე, რაც ჩადენილი აქვთ.**

**უმთავრესი გზავნილი კი ის უნდა იყოს, რომ სწორედ ამ ჯგუფების მავნებლობის შედეგია ე.წ. რუსული ნარატივის გაძლიერება დ ქართველი ხალხისგან დასავლურ ცივილიზაციაზე გულის აცრუება.**

ეს მრავალჯერ დამიწერია და მითქვამს. აქ, უბრალოდ, მინდა, შეგახსენოთ ამონარიდი ჩემი სტატიიდან, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნდა:

**საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანთა გარკვეული კლასი, რომელთათვისაც სიტყვები „თავისუფლება“ „ცივილიზაცია“, „დემოკრატია“ და მრავალი სასურველი ფასეულობა, სიშიშვლეში, აგრესიაში და, რბილად რომ ვთქვა, სხვადასხვა ეპატაჟურ გამოხტომასთან გაიგივდა.**

**ასევე არის მეორე მხარე, რომელთათვისაც ზემოთ ნახსენები სიტყვები და ფასეულობები გარკვეულ შიშს ბადებენ და, ბუნებრივია, რომ წინააღმდეგობის გრძნობას იწვევენ.**

**ამ უკანასკნელთა მიმართ ისმის განცხადებები, რომ ისინი არიან ბნელები, გაუნათლებლები დ.ა.შ. საოცარია, მაგრამ მსგავსი მსჯელობით გამოდის, რომ ცხოველური სიშიშვლე, ცხოველური ვნებების დაკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა არის ცივილიზაცია. არადა, პირიქითაა. სწორედ ის აგრესია, რომელიც საპატრიარქოს კედლის საღებავით დასვრაში ან ათასგვარ გამოხტომაში წარმოჩინდება, არის გონებისა და აზროვნების უკიდურესი სიმწირე, რომელსაც ადამიანი ცხოველურ ინსტინქტებამდე დაჰყავს.**

**ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ისინი, ვის ხელშიც არის მოქცეული საქართველოში დემოკრატიის, ცივილიზაციის და ნორმალური განვითარების სწორი გზის ჩვენება, ანუ ე.წ. გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროპული ტიპის პარტიები, „რუსთავი-2“-ის შოუ-გადაცემები დ.ა.შ. თავად არიან ჩრდილოკორეული, ბოროტი და დიქტატორული აზროვნების მატარებლები.**

საზოგადოება უნდა შეეცადოს, თავად გაერკვეს იმ ხლართებში, რომლის წინაშეც, სამწუხაროდ, მარტო აღმოჩნდა“...

არ დაგიმალავთ და ნამდვილად არ მეშინია ვინმე კონგრესმენის „შეშფოთების“, არ ვცახცახებ NDI-ის „კვლევებზე“, ნამდვილად არ მაინტერესებს ჯულიეტოვნას და მიHას „დებატები“. ავადმყოფ გვარამიას ისტერიკას საერთოდ არ ვუსმენ. ძალიან არ მაღელვებს, ვინ წავა „ოცნებიდან“, ვინ დარჩება და რა ფორმით „გაბრაზდებიან“ ნაცებზე; ამ ე. წ. „არასამთავრობოებს“ და ე. წ. „სახალხო დამცველს“ რეალურ პრობლემად არ მივიჩნევ...

ვარ რიგითი ამომრჩეველი და მე თვითონ გავაკეთებ არჩევანს.

კარგით, რა ხალხო, კარგით რა!

რატომ გვიყვარს რაღაც მჭექარე „წოდებების“ მინიჭება იმ ტიპებისთვის, რომლებიც ამ წოდებულებას საერთოდ იმსახურებენ?

„დათა თუთაშხიაში“ არის ერთი საყურადღებო ადგილი: ერთი პატიმარი მეორეს მთელ თავის „პაიოკს“ აძლევდა იმისთვის, რომ იმას მისთვის მთელი ციხის გასაგონად „არიოლა“ დაეძახა.

რა „პაიოკი“ გადაიხადა ამ ლომჯარიამ, „სახალხო დამცველს“ რომ ეძახიან? რა „პაიოკს“ იხდიან ეს ე.წ. „პოლიტიკანები“ (აღარ ჩამოვთვლი), ლიბერასტი „მწერლები“, „ვარსკვლავები“ ან „არასამთავრობო ორგანიზაციები“?

კარგი ბატონო, უძახეთ ლომჯარიას „სახალხო დამცველი“, ბუღაძეს – მწერალი, გიგაურს – უფლებადამცველი, კესარიას – ვარსკვლავი და რა ჩიტსაც დაიჭერთ, მაგასაც ვნახავ.

სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ქვეყანა სადაც შედეგი მთავარი არ არის!

კი, ბატონო, შესანიშნავია, რომ დებატებში წულუკიანმა ლომჯარია მიჭირხნა.

ვიცინეთ წულუკიანის სხარტულა ფრაზებზე, ლომჯარიას გამოთაყვანებულ გამომეტყველებაზე, და რა მერე?

მელიას მანდატი შეუჩერეს და... მის ადგილზე ბასიშვილი დაჯდა.

„ოცნებამ“ ნაცები შიშხათიანი გამოთქმებით აავსო.

შედეგი ზერო.

ქვეყანაში არ არსებობს დეპუტატის გამოწვევის მექანიზმი, სახალხო დამცველი თავისი ვადის ამოწურვამდე ხელშეუხებელია, მოსამართლეები უვადოდ დავნიშნეთ – კი ვიცოდი, რომ ბევრი წლის წინათ კოლხეთში ეგვიპტელები გადმოსახლდნენ, მაგრამ ყველა ფარაონი თუ იყო და მათი შთამომავლები პოლიტიკოსებად, სახალხო დამცველებად, მოსამართლეებად მოგვევლინებოდნენ, რას ვიფიქრებდი!!!

მალე პირამიდებსაც დაგვადგმევინებენ და ეგ არი!.

კარგია. ვუყურეთ, წავიკითხეთ, დავწერეთ, გული მოვიფხანეთ და დავიძინეთ...

წერილს კი აკაკის სხარტულას რემიქსით დავამთავრებ:



**წერე, წერე**
**კონგრესმენო,**
**ზურგში ჩაგვეც**
**ისარიო.**
**თუ მწერალი**
**არ გამოხვალ,**
**წერას მაინც**
**ისწავლიო!..**

**გია გაბრიჭიძე**

## სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

**ბუტა რობაძიძის** საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილისთვის შეფარდებული პატიმრობა ძალაში რჩება. ეს გადაწყვეტილება მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მიიღო, რომელსაც ოქრუაშვილი და მისი ადვოკატი არ ესწრებოდნენ.

ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა სხდომის დატოვებამდე პროცესის გადადება ითხოვა ბრალდებულთან პოზიციის ჩამოყალიბების მოტივით, თუმცა მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ ადვოკატმა სასამართლოს დარბაზი დატოვა. პროცესი 10 თებერვლისთვის გადაიდო.

სხდომის გადადების შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ბრალდებულის, ძებნილი ზურაბ ადეიშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ პროკურატურას მტკიცებულებები არ აქვს. ადვოკატის სულხან კომახიძის თქმით, ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენებებს მხოლოდ ორი მოწმე აძლევს – ამ საქმეზე ბრალდებული დიდუბე-ჩუღურეთის ყოფილი პროკურორი ირაკლი წერეთელი და ყოფილი გამომძიებელი ნიქაბაძე.

ამასთან, გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ, საქმის ერთ-ერთმა პროკურორმა დავით ნეფარიძემ დაადასტურა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გავრცელებული განცხადება, რომლის მიხედვითაც, ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევს მიხეილ ქარელი, რომელმაც საგამოძიებო უწყებას თავისი ინიციატივით, განცხადებით მიმართა.

# პირნათლად ვალმოხდილი

## აკადემიკოს თეიმურაზ კოპალეიშვილის გახსენება



**2020 წლის 30 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, თვალსაჩინო მეცნიერ-ფიზიკოსს, თეიმურაზ კოპალეიშვილს 90 წელი შეუსრულდებოდა.**

თ. კოპალეიშვილი დაიბადა ქ. სამტრედიაში, გლეხის ოჯახში. 1948 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სწავლის დროს იყო ჯერ ფილიპე მახარაძის, ხოლო შემდეგ სტალინის სახელობის სტიპენდიატი. 1953-56 წლებში სწავლობდა თსუ ასპირანტურაში აკადემიკოს ვაგან მამასახლისოვის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, ხოლო 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე: ფიზიკის ფაკულტეტზე თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტად, ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის თეორიული განყოფილების გამგედ, ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის განყოფილების გამგედ, ხოლო ამ ლაბორატორიის თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტად გადაკეთების შემდეგ 2006 წლამდე იყო თეორიული ბირთვული ფიზიკის განყოფილების გამგე.

ბ-ნი თეიმურაზი ითვლება თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთ დამაარსებლად აკად. ნ. ამაღლობელთან, აკად. ა. თავხელიძესა და აკად. რ. სალუქვაძესთან ერთად.

თ. კოპალეიშვილმა 38 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1979 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი თ. კოპალეიშვილი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მკვლევარია ატომბირთვის თეორიის დარგში. ფიზიკის ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულება მან ფუნდამენტური შრომებით გამდიდრა. არის 5 მონოგრაფიის და 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი პიმეზონების ბირთვებში შთანთქმის შედეგად ორი ნუკლონის გამოსვლის რეაქციებში ბირთვის სტრუქტურის ეფექტის განსაზღვრაში, რომელიც შემდგომ დაკვირვებული იქნა „ცერნში“ ჩატარებულ ექსპერიმენტებში. ეს ითვლება აღიარებულ კლასიკურ შედეგად და შესულია არაერთ მონოგრაფიაში. სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ელემენტარულ ნაწილაკთა სპექტრების კვლევა რელატივისტურ კვანტურ განტოლებებზე დაყრდნობით. ბირთვების სტრუქტურის შესწავლისას თ. კოპალეიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ადრონთა კვარკული აღწერის მნიშვნელობას.

უაღრესად ნაყოფიერი იყო თ. კოპალეიშვილის პედაგოგიური საქმიანობა. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ბირთვული ფიზიკის სპეციალურ კურსებს თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე. დაჯახების კვანტური თეორიის დარგში მისი ფუნდამენტური სახელმძღვანელოს მოკლე კურსი ითარგმნა ინგლისურად და გამოიცა საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ ეს წიგნი გახდა 2000-2001 წლების ბესტსელერი. ბ-ნი თეიმურაზის ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა ცხოვრებაში და დღეს ისინი მსოფლიოში კარგად ცნობილი, ავტორიტეტული მეცნიერები არიან.

აკად. თ. კოპალეიშვილი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში და თვითონაც აწყობდა კონფერენციებს. ამ მხრივ მეტად რეზონანსული იყო 1984 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რამდენიმე სხეულის პრობლემას ბირთვულ და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში.

გამორჩეული იყო აკადემიკოს თეიმურაზ კოპალეიშვილის მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. კოლეგები დიდად აფასებდნენ მის მაღალ პროფესიონალიზმს, პასუხისმგებლობის დიდ გრძნობას, სამაგალითო პატიოსნებას, კეთილშობილებას, აქტიურ და პრინციპულ პოზიციას, რასაც იგი ავლენდა თავისი მრავალმხრივი საქმიანობის ყველა სფეროში. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ბ-ნი თეიმურაზი თავისი პოზიციების დასაცავად ხანდახან არც მკვეთრ განცხადებებს ერიდებოდა კოლეგების მიმართ, რომლებიც ადვილად უგებდნენ და ეგუებოდნენ კრიტიკას მისი მხრიდან.

ბატონი თეიმურაზი იყო თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი. საქმიანი და საინტერესო წინადადებებით, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საქართველოში მეცნიერებისა და განათლების სისტემის შემდგომ განვითარებას, იგი ხშირად გამოდიოდა პრესასა და მასმედიის სხვა საშუალებებში. თვლიდა, რომ საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, შეუძლია, შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიოს საგანძურში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით. იყო გამოუსწორებელი ოპტიმისტი — 70 წლის ასაკში დაწერა პუბლიცისტური წიგნი „მომავლის იმედით“, ხოლო 80 წლისამ — ამ წიგნის გაგრძელება „ისევ მომავლის იმედით“, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ იმედიანად უყურებდა იგი საქართველოს მომავალს.

ბატონი თეიმურაზის სამეცნიერო მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა: 1977 წელს ავტორთა ჯგუფთან ერთად მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია ბირთვებზე ფოტოდაბადების პროცესების შესწავლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის; მიღებული აქვს პეტრე მელიქიშვილის სახელობის (1973), ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის (1988) და სხვა პრემიები.

აკადემიკოსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ერთი წლის წინათ წავიდა ამ ქვეყნიდან, წავიდა პირნათელი და ვალმოხდილი ქართული მეცნიერების, მშობლიური ქვეყნის წინაშე. დაუვიწყარია მისი სახელი — როგორც მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი**

---

# ცოტნე გამსახურდიაზე გავრცელებული ცნობა ცოცხალი ჭყუილია!

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია „ფეიკნიუსად“ აფასებს ცოტნე გამსახურდიას ცოლის ანა ჯაბაურის წარმომადგენლის ჯაბა კვარაცხელიას განცხადებას. კვარაცხელიამ თქვა, რომ ცოტნე გამსახურდია, რომელიც თურქეთის კლინიკაში მკურნალობს, სრულ იზოლაციაში ჰყავთ და მასთან მხოლოდ დედამისს მანანა არჩვაძეგამსახურდიას უშვებენ, ეს კი ზურაბიშვილის ადმინისტრაციის მიერ თურქეთში გაგზავნილი წერილის მიხედვით ხდება.**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, არანაირი წერილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან ამ თემასთან დაკავშირებით არ მომზადებულა და მით უფრო, თურქეთის კლინიკაში არ გაგზავნილა.

უწყებაში განმარტეს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ჟენევაში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება აქვს და ამ პოზიციაზე გერმანიასთან მისი კავშირების გათვალისწინებით შეირჩა.

27 იანვარს ცნობილი გახდა, რომ გერმანიაში საქართველოს ელჩად თავდაცვის ყოფილი მინისტრი ლევან იზორია ინიშნება.

# კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში საქართველოს საელჩოში დესპანად დაინიშნა

**კონსტანტინე გამსახურდია გერმანიაში საქართველოს საელჩოში დესპანის პოზიციაზე დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას „იმედს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს და განუცხადეს, რომ დანიშვნა ნოემბერში მოხდა.**

# სტრასბურგში უნიკალური სამეცნიერო ნაშრომის „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“ პრეზენტაცია გაიმართა

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, სტრასბურგში ქართული კულტურის, ისტორიის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის სამტომეული, ინგლისურენოვანი უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“ წარადგინა.**

ღონისძიების ფარგლებში მიხეილ ჩხენკელმა სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს, მოწვეულ სტუმრებს და წიგნის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა.

ქართული დელეგაციის სტრასბურგში სამუშაო ვიზიტი, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში შედგა.

სტრასბურგში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ქართულმა დელეგაციამ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაშიც მიიღო მონაწილეობა.

# ხელოვნური ინტელექტი საჰაერო ბრძოლაში

**აშშ-ში პერსპექტიული თავდაცვითი სისტემების სააგენტომ (DARPA) ნეიროქსელის შესაძლებლობები საჰაერო ბრძოლაში პირველად გამოსცადა. ექსპერიმენტის ვიდეო YouTube-ზე გავრცელდა.**



**ნეიროქსელის ალგორითმებმა, რომელიც მოიერიშე F-15C Eagle-ში შეიყვანეს ვირტუალური ინტელექტის RED-ის სისტემაა. ტესტირებამ წარმატებულად ჩაიარა. ექსპერიმენტის სხვა დეტალები არ საჯაროვდება.**

ანტუანი მეგობართან გიიომთან ერთად

# „პატარა უფლისწული“

მიმშვიდოგებისას საჭიროა ქუდი მოვიხადო, თავიც დავუკრა და დიპლიპიტოც...

* * *

პატივმოყვარე ხალხს მარტო თავიანთი ქება-დიდება ესმით, სხვა ყველაფრის მიმართ ყრუები არიან, უსმინარნი...

* * *

მეფე... ძალიან ამაყად გრძნობდა თავს, რაკი ქვეშევრდომნი ჰყავდნენ.

* * *

მართლაც უცნაური ხალხია ეს ასაკმიკაკუნებულნი...

* * *

რომ ვსვამ, მესირცხვილება და ამის დავიწყება მინდა.

* * *

ეს ასაკოვანი, დღემოჭმული, ძალიან, ძალიან უცნაური ხალხია.

* * *

იმდენი სამუშაო მაქვს, საიდან რა დავიწყო, სულ ამერია. მე საქმიანი კაცი ვარ, სალაყბოდ არა მცალია.

* * *

გასასეირნებლად ერთი წუთიც არა მაქვს. მე საქმიანი კაცი ვარ.

* * *

ფუტკრები... ისეთი პაწაწინები და ოქროსფერები არიან, რომელმა წელანგარამ და ზარმაცმაც არ უნდა მოჰკრას თვალი, ეგრევე ოცნებას მიეცემა. მე საქმიანი კაცი ვარ, საოცნებოდ არა მცალია.

* * *

...როგორც საქმიან კაცს, სიზუსტე მიყვარს.

* * *

მეფენი არცრას არ ფლობენ, ისინი მხოლოდ მეფობენ. ეს სულ სხვა საქმეა.

* * *

მაინც რა სარგებელს ნახულობ ვარსკვლავების ფლობაში? რისთვის გინდა?

– სიმდიდრისთვის.

– სიმდიდრე რაღად გინდა?

– რათა კიდევ ახალი ვარსკვლავები ვიყიდო, თუკი იმათ ვინმე აღმოაჩენს.

* * *

ალმასი თუ იპოვე, რომელსაც პატრონი არა ჰყავს, მაშასადამე, შენია.

* * *

მე ვარსკვლავებს იმიტომ ვფლობ, რაკი იმათი ფლობა ჩემამდე არცვის აზრადაც არ მოსვლია.

– ეგ მართალია... მერედა, რას უშვრები მაგდენს?

– რა უნდა ვუყო, ვაწესრიგებ... ვდგავარ, ვითვლი, ერთხელ რომ დავთვალე, მერე ისევ ხელახლა ვიწყებ თვლას. ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ მე საქმიანი კაცი ვარ.

* * *

მე თუ აბრეშუმის ყელსახვევი მაქვს, შემიძლია ყელზე შემოხვევა და შინ წაღება... თუ რამ ყვავილი მაქვს, შემიძლია მოწყვეტა და თან ტარება. შენ კი, ცას მიადგები და ჩამოკრეფ ვარსკვლავებს თუ რა.

– არა, ვერ ჩამოვკრეფ, მაგრამ, სამაგიეროდ, ბანკში ჩავდებ.

– ბანკში როგორ ჩადებ?

– ძალიანაც ლამაზად: ჯერ ქაღალდზე ჩამოვწერ, სულ რამდენი თუ ურაოდენობო ვარსკვლავი მაქვს. მერე ამ ქაღალდს ყუთში ვდებ და გასაღებით ვკეტავ.

– სულ ეგ არის?

– ეს სავსებით საკმარისია.

* * *

უცხო სილამაზე თვალს სიამოვნებს.

* * *

პირობა პირობაა...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-16

* * *

პატარა უფლისწული თვალს არ აშორებდა მეფარნეს, და სულ უფრო მოსწონდა ეს კაცი, რომელიც თავისი სიტყვის აგრერიგად ერთგული იყო.

* * *

ხომ შეიძლება, რომ კაცი სიტყვის ერთგული იყვეს და ზარმაციც, ხელგვიანი.

* * *

შენ მაინც იარე, იარე არ გაჩერდე... და დღე იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც შენ მოისურვებ.

* * *

ეს ერთი არ არის სასაცილო, ალბათ, იმიტომ, რომ მარტო თავის თავზე არა ფიქრობს.

* * *

არა, გეოგრაფები არ აღრიცხავენ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს, ზღვებს, ოკეანეებსა და უდაბნოებს. გეოგრაფი ნამეტნავად მნიშვნელოვანი პირია, იმას სასეირნოდ არა სცალია. ის თავისი კაბინეტიდან ფეხს არ იცვლის. სამაგიეროდ, იქ იღებს მოგზაურთ და იმათ ნაამბობს იწერს. და რომელიმე იმათგანი თუ საყურადღებო რასმე უამბობს, გეოგრაფი ცნობებს კრებს და ამოწმებს, წესიერი და პატიოსანი კაცია თუ არა ეს მოგზაური?

– მერედა, რად უნდა?

– რად უნდა და, თუ მოგზაური წაიტყუილებს, სახელმძღვანელოებში ყველაფერი აირ-დაირევა, აიბურდება, ხოლო, თუ იმას ნამეტანი ყლურწვა უყვარს, უბედურება მაშინ ნახე.

– ვითომ რატომ?

– რატომ და, ლოთს ყველაფერი ორად ეჩვენება, თვალი ატყუებს. და სადაც ერთი მთაა, გეოგრაფი იქ ორს აღნიშნავს.

* * *

უხეირო ყველაფერში უხეიროა.

* * *

მოგზაურთა მონაყოლს გეოგრაფები თავდაპირველად ფანქრით იწერენ და მხოლოდ იმის შემდეგ, მოგზაური მტკიცებულებას რომ წარმოადგენს, შეიძლება უკვე მელნით ჩაწერა.

* * *

ყველაფერი შეიძლება რომ მოხდეს.

* * *

– გეოგრაფიული წიგნები ყველაზე ძვირფასი წიგნებია ამქვეყნად, – აუხსნა გეოგრაფმა, – ისინი არცროდის არ ძველდებიან. მთის ადგილიდან დაძვრა ხომ იშვიათი შემთხვევაა. ანდა ოკეანის დაშრობა. ჩვენც სწორედ ასეთ მარადიულ და უცვლელ საგნებს ვიწერთ.

* * *

– მე გალახი არა ვარ, – წყნარად წარმოთქვა ყვავილმა.

* * *

– გავშვებო!.. ერიდეთ გაობაებს!

* * *

– ადამიანები სადღა არიან? – კვლავ აძრახდა ბოლოს და ბოლოს პატარა უფლისწული, – უდაბნოში ასეთი მარტოობა.

* * *

ყვავილი... ყველაზე ლამაზია.

* * *

დედამიწა უბრალო პლანეტა არ გეგონოთ! იქ ასთერთმეტ მეფეს ითვლიან (რასაკვირველია, სათვალავში შავკანიანი აფრიკელი მეფენიც არიან), გარდა გვირგვინოსან-ცხებულთა, დედამიწაზე შვიდი ათასი გეოგრაფია, 900 ათასი საქმოსანი, შვიდნახევარი ლოთმებრუვე, 311 მილიონი ცუდმედიდი, ანუ პატივმოყვარე, სულ დაახლოებით ორი მილიარდი სრულწლოვანია.

უფრო კარგად რომ წარმოგადგენინოთ, ანუ თვალწინ დაგიყენოთ, თუ რაოდენ დიდია დედამიწა, მხოლოდ ერთს ვიტყვი: სანამ ელექტრობას გამოიგონებდნენ, ექვსივე კონტინენტზე მეფარნეთა მთელი ჯარი ჰყავდათ – 462 ათას 511 კაცი.

გვერდიდან თუ შევხედავდით, დიდებული რამ სანახაობა იყო. ამ ჯარის სუყოველი მოძრაობა უზუსტეს რიტმს ემორჩილებოდა, როგორც რომ ბალეტშია, ისე.

* * *

მხოლოდ ის მეფარნე, რომელსაც ერთადერთი ფარანი უნდა აენთო ჩრდილოეთ პოლუსზე და იმის თანამოძმეს სამხრეთ პოლუსზე, – ცხოვრობდნენ ალალად და უზრუნველად: თავ-თავიანთი ფარნების ანთება წელიწადში სულ ორჯერ უწევდათ.

* * *

როცა ძალიან გინდა მოსწრებული სიტყვის თქმა, ხან შენდა უნებურად წაიტყუილებ. მეფარნეებზე რომ ვყვებოდი, ცოტა არ იყოს, ვცოდე ჭეშმარიტების წინააღმდეგ. ვშიშობ, ვინც ჩვენს პლანეტას არ იცნობს, ვაითუ არასწორი წარმოდგენა შეექმნას, ეს რა უცნაური რამ ცთომილი ყოფილაო. დედამიწაზე ადამიანებს არცთუ მაინცდამაინც ბევრი ადგილი უჭირავთ. ორ მილიარდ დედამიწელს ერთად რომ მოეყარა თავი, როგორც სადმე მიტინგზე, ყველანი სულ ადვილად დაეტეოდნენ სიგრძითაც და სიგანითაც ოც მილ სივრცეზე. მთელი კაცობრიობა შეიძლება რომ წყნარ ოკეანეში ყველაზე პატარა ჭალაკზე ერთმანეთის მხარდამხარ დაგვეყენებინა.

სრულწლოვანი ხალხი, რა თქმა უნდა, ამას არ დაგიჯერებს. სრულწლოვანთ წარმოუდგენიათ, რომ ძალზე ბევრი ადგილი უჭირავთ. ამათ თავიანთი თავი ბაობაებსავით ვეებერთელები ჰგონიათ...

* * *

ისინი ხომ პირდაპირ აღმერთებენ ციფრებს, თქვენ კი დროს ნუ დახარჯავთ არითმეტიკაზე, არ არის საჭირო, თქვენ ისედაც გჯერათ ჩემი.

* * *

ეს უდაბნოა, უდაბნოში კაციშვილი არ ცხოვრობს, მაგრამ დედამიწა დიდია.

* * *

ერთი სული მაქვს, სანამ გავიგებდე, რატომ ანათებენ ვარსკვლავები... ალბათ იმიტომ, რათა ადრე თუ გვიან სუყოველმა ადამიანმა თავისი ვარსკვლავი მოიძიოს. შეხე, ის ჩემი პლანეტაა, ზუსტად ჩვენ დაგვნათის...

* * *

უდაბნოში საშინელი მარტოობაა.

– ადამიანებშიც მარტოობაა, – წაისისინა გველმა.

* * *

პატარა უფლისწულმა მთელი გულისყური მიაპყრო გველს.

– უცნაური რამ არსება ხარ, – უთხრა მან, – თითზე მსხვილი არც იქნები...

– სამაგიეროდ, ძალმოსილება მე მეტი მაქვს, ვიდრე მეფის თითს, – შეესიტყვა გველი.

– მე შემიძლია, რომ ბევრად უფრო შორს წაგიყვანო, ვიდრე რომელსამე ხომალდს – უთხრა გველმა...

– ვისაც მე შევეხები, სუყველას მიწას ვუბრუნებ, – მაგრამ შენ უბიწო ხარ, ვარსკვლავიდან ჩამოფრენილი...

– მე ყველა ქარაგმის ახსნა ვიცი, – უთხრა გველმა.

* * *

– ადამიანები?.. დამავიწყდა კიდეც იმდენი ხნის წინათ ვნახე... არც ვიცი, სად უნდა ვეძებო. ქარი თავის ნებაზე დაატარებს. უფესვონი არიან, ეს კი ძალიან უხერხული რამ არის...

* * *

ვაი, რა ტყუილად მგონებია, რომ მთელ მსოფლიოში ერთადერთი ისეთი ყვავილის მფლობელი ვიყავი, რომლისნაირს არც არავინ ახარებდა და არც კიდევ სადმე ხარობდა. არადა, ერთი ჩვეულებრივი ვარდი ყოფილა. მთელ ჩემს ავლადიდებას შეადგენდა თურმე ერთი უბრალო ვარდი და კიდევ სამი ვულკანი...

(გაგრძელება მორიგ ნომერში)


ანტუანი ეხვევა ავიაკატასტროფაში გადარჩენილ გიიომს. 1930 წ

# „ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



## – ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**




# შალვა მატუაშვილის გარჯა და დაღლა...

**ანგანური ჯეშმარიტება – სულგრძელობა, ხელგაშლილობა, მხარში ამოდგომა ძლიერთა დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც სხვათაგან მუდამ გამოარჩევს. როდესაც დიდი გიზნესი, მისი ელიტის წარმომადგენელი მიღებული მოგების სოლიდურ ნაწილს ქველმოქმედებაზე გასცემს, ცხადია, ეს კაცთმოყვარეობის უაღრესად კეთილშობილური გამოვლენაა, თუმცა, როცა ზრუნვის ობიექტი სამამულო კულტურაა, ეს მოღვაწეობა ეროვნულობის პათოსს აღწევს.**

ამ თვალსაზრისით ყოველმხრივ გამორჩეულია საქართველოში საკომუნიკაციო სფეროს ლიდერი კომპანიის მაგთიკომის მეტად შთამბეჭდავი საქმიანობა ქართული ხელოვნების არაერთ დარგში, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, კიდევ ერთხელ სახვით ხელოვნებაზე გვინდა შევაჩეროთ. მანამდეც არაერთგზის გვქონია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მაგთიკომი, ბევრ სხვა სასიკეთო საქმესთან ერთად, წლების მანძილზე უაღრესად მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ამ ხნის განმავლობაში გამოიცა არაერთი ქართველი მხატვრის, მოქანდაკისა და არქიტექტორის შემოქმედების ამსახველი ალბომი. ამ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბულმა შესანიშნავმა გამოცემებმა დიდი ხანია, ღირსეული ადგილი დაიკავეს ხელოვნების ტრფიალთა წიგნების თაროებზე. და აი, იანვრის მიწურულს მაგთიკომმა მათ კიდევ ერთი დიდებული საჩუქარი მიართვა: 27 იანვარს მაგთი-კლუბში შედგა გასული საუკუნის „80-იანელებად“ მონათლულ ქართველ მხატვართა შესანიშნავი წარმომადგენლის **შალვა მატუაშვილის** ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევართა გამოფენა და მხატვრული ალბომის პრეზენტაცია, რომელსაც მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, მეგობრები და კოლეგები დაესწრნენ.


„მამის პორტრეტი“

„დედის პორტრეტი“

**– ხშირად მესმის ხოლმე მხატვრებისგან გულისტკივილით ნათქვამი: „ვერ მხედავენ“, „არ მაფასებენ“... ბოდიშის მოხდით მინდა ვთქვა, მე კი მგონია, რომ დამინახეს და დამაფასეს კიდეც, – თქვა ალბომის წარდგენისას ბატონმა შალვა მატუაშვილმა. – ამ წიგნში თავმოყრილია ჩემი შემოქმედების უდიდესი ნაწილი, რაც ძალიან მახარებს. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო მაგთიკომს, ყველას, ვინც იმუშავა ალბომის მომზადებაზე. განსაკუთრებით მადლიერი კი ბატონ გია ჯოხთაბერიძისა ვარ – სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კატალოგი დაიბადა, რომელშიც ჩემი შემოქმედებითი გზაა ასახული. ახლა უფრო თვალნათელი გახდა, თუ რა მიკეთებია საწყისიდან დღემდე, რა და როგორ მიფიქრია, რამდენი ფერი და ელდა ყოფილა, რისთვის მიშრომია და დავღლილვარ.**

დიდი მადლობა მინდა, მოვახსენო სარედაქციო ჯგუფს, რომელმაც ალბომის შექმნაზე იმუშავა, კიდევ – ბატონ თემო გოცაძეს, რომელმაც 1988 წელს შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელობა შემომთავაზა. საერთოდაც, დღეს აქ ის ხალხია შეკრებილი, ვინც გულს მიხარებს, თითოეულ მათგანს მადლობას მოვახსენებ გვერდში დგომისთვის.

**„შალვა მატუაშვილი** ე.წ. 80-იანელთა თაობის იმ მხატვართა ჯგუფის წარმომადგენელია, რომელთა შემოქმედება მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდს უკავშირდება. იმ თაობისა, რომელმაც გააცნობიერა, რომ თანადროულ ქართულ მხატვრულ რეალობას ცვლილებები სჭირდებოდა. ამიტომაც ახალგაზრდა ხელოვანები თავისუფლად ირჩევდნენ მათთვის ახლობელ და საინტერესო მხატვრულ გამოცდილებას, თამამად მიმართავდნენ მანამდე ტაბუირებულ რელიგიურ, ისტორიულ თუ ინტელექტუალურ თემებს, რასაც საკუთარი აზროვნების პრიზმაში გარდატეხდნენ და პოსტმოდერნისტულ ძიებებს უკავშირებდნენ. თუმცა, მათ შორის იყვნენ მხატვრებიც, რომლებიც ფორმისა და სივრცის პლასტიკური ინტერპრეტაციის, სურათის კომპოზიციური სტრუქტურისა და წმინდა ფერწერული საწყისების ინდივიდუალურ გააზრებაზე იყვნენ ორიენტირებულნი და დღემდე ერთგულობენ ერთხელ არჩეულ პოზიციას. სწორედ ამ ფერმწერთა შორისაა შალვა მატუაშვილი, რომლის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება ქართული თუ ევროპული ხელოვნების მხატვრულ ტრადიციებს და, ამავდროულად, ნათლად ავლენს ინდივიდუალური ხელწერის სპეციფიკურ ნიშნებს, – წერს ალბომის წინასიტყვაობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ინგა ქარაია**. – შალვა მატუაშვილს მხატვრობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. როგორც თავად ამბობს, ხატავს იმას, რაც მიაჩნია, რომ ფერწერაა და ვერნისაჟებზე საზოგადოებას სთავაზობს ფერწერის საკუთარ ვერსიას, რომელშიც იგი თანამედროვე ხელოვნების „მოდურ“ ტრადიციებს არ მისდევს, არ სვამს მეტაფიზიკურ შეკითხვებს, შორსაა ეპატაჟურობისგან და არ აოცებს მნახველს სიურპრიზებით, არამედ ცდილობს, მიაღწიოს სრულყოფილებას მშვენიერების მარადიულ კატეგორიებში ჩაღრმავებით, რაც განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ მხატვრის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ნამუშევრები დაცულია არაერთ მუზეუმში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ტრეტიაკოვის გალერეა, აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი მოსკოვში, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც მხატვარს მთელი დარბაზი ეთმობა და, ფაქტობრივად, მისი ნამუშევრების მუდმივ ექსპოზიციას წარმოადგენს), ინახება მიუნხენის, სტამბოლის, ატლანტას, ტოკიოს, მილანის, პარიზის, მოსკოვის, ბერლინის, ნიუიორკის კერძო კოლექციებსა და გალერეებში“.

**– 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ მხატვრობაში ახალმა თაობამ, დაახლოებით, 10-15 კაცმა შემოაბიჯა და ასპარეზზე გამოვიდა, – თქვა მხატვარმა თემო გოცაძემ. – ეს იყო თაობა, რომელმაც შეცვალა ქართული სახვითი სივრცე. ისინი იმდენად საინტერესონი იყვნენ, რომ ყველა გამოფენას უამრავი მნახველი ჰყავდა. ჰოდა, ამ განსაკუთრებულ ხელოვანთა შორისაც კი, შალვა მატუაშვილი გამორჩეული იყო. არიან, ასე ვთქვათ, „მოფარფატე“ მხატვრები, მაგრამ ამავე დროს არიან დინჯი, მშვიდი, ღრმა, სულიერებით აღსავსე ფერმწერებიც და იგი სწორედ ერთ-ერთი ასეთია. მას ფერის აბსოლუტური გრძნობა აქვს, რაც მის ნამუშევრებს არაჩვეულებრივ სირბილესა და სიმსუბუქეს ანიჭებს. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება მშვენიერებისადმი, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ქალთა არაჩვეულებრივად მომხიბლავ პორტრეტებში, გამორჩეულია მხატვრის სიბრტყესთან დამოკიდებულება, რასაც იტალიელები „სფუმატოს“ უწოდებენ, როცა ნახატი ზედმიწევნით ჰაერვანია. შალვა მატუაშვილის კიდევ ერთი განსაკუთრებულად აღსანიშნავი თვისებაა კოლეგებთან, ამქრის სამეგობროსთან დამოკიდებულება და მისი სიმღერისადმი, ზოგადად, მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული. ისიც მინდა ვთქვა, რომ მისი შემოქმედება უკვე არის ქართული კულტურის გამარჯვება!**

**ოთარ ტურაბელიძე**

„მზესუმზირა“

**აქვე ბატონ თემო გოცაძის სიტყვებით მინდა, ვისარგებლო და ალბომში შესული ფერმწერის ავტობიოგრაფიის მცირედი ამონარიდი შემოგთავაზოთ, რომლის სინაღდე გამართულ პრეზენტაციაზე კიდევ არაერთმა სიტყვით გამოსულმა აღნიშნა: „ფერზე კიდევ უფრო ადრე ჩემი ბავშვობის დღეები ბგერას დაუკავშირდა. დავდიოდი ვიოლინოს კლასში, ძალიან მიყვარდა და მხიბლავდა მუსიკა. დღემდე ასეა – მუსიკა ყოველთვის თან ახლავს ჩემს ყოველდღიურობას, ყოველ აზრს, ყოველ ნამუშევარს“.**

ამ სიტყვების უდავო დასტური იყო ცნობილი მუსიკოსის, პიანისტ **მანანა დოიჯაშვილის** გამოსვლაც, რომელმაც, კერძოდ, თქვა:

**– კლასიკური მუსიკა ხელოვნების ყველა სხვა დარგისგან განსხვავდება და ის შალვა მატუაშვილის უდიდესი სიყვარულია, იგი კონსერვატორიაში გამართული კონცერტების მუდმივი და გამორჩეული მსმენელია, რაც მის ნამუშევრებშიც ჩანს.**

ბატონი შალვა მატუაშვილის სამხატვრო ალბომის წარდგენაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ასევე ილიას უნივერსიტეტის რექტორი **გიგა ზედანია**, ხელოვნებათმცოდნე **ლელა წიწუაშვილი**, კომპოზიტორი, მსახიობი და მხატვარი **ჯუბა ჯანდიერი**, მხატვარი **ჯემალ კუხალაშვილი**, გალერისტი **ვანდა მუჯირი**.

თითოეულმა გამომსვლელმა ბევრი გულთბილი, მოსაფერებელი სიტყვა უთხრა ნიჭიერ შემოქმედს, არაერთი სამადლობელი ითქვა ასევე კომპანია მაგთიკომისა და პირადად მისი თავკაცის გია ჯოხთაბერიძის მიმართ იმ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმისთვის, რომელსაც ქართული სახვითი ხელოვნების მომავალი თაობებისთვის შემონახვა ჰქვია.

**– 27 იანვარს დედაჩემის დაბადების დღეა და ვერც კი წარმომედგინა, რომ მისთვის ოდესმე უკეთესი საჩუქრის მიძღვნას შევძლებდი,** – თქვა დასასრულ ბატონმა შალვამ.

**– მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთი გამორჩეული ქართველი ხელოვანის შემოქმედება გამოიცა წიგნად და დაინტერესებული საზოგადოებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. შალვა მატუაშვილის კატალოგი შეემატა მაგთიკომის მხარდაჭერით გამოცემულ ასობით წიგნს. კომპანია კვლავაც გააგრძელებს ქართული კულტურის, ხელოვნების პოპულარიზაციასა და მხარში დგომას,** – აცხადებენ მაგთიკომში.

# საქართველოში ლავროვის ვიზიტი გავრილოვის გამო ბოდიშის მოხდის შემდეგ შედგება?!

**რუსეთში, საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტის სანაცვლოდ, საქართველოსგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ. ამავდროულად, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ევროსაბჭოს ტრიბუნიდან გაკეთებულ განცხადებას დადებითად აფასებენ.**

როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რუსეთის დელეგაციის წევრები აცხადებენ, რომ საქართველომ რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის გამო, ბოდიში უნდა მოიხადოს. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მაისში დაგეგმილ ევროსაბჭოს მინისტერიალს რუსული დელეგაციაც დაესწროს.

**„ვფიქრობ, თუ ქართული მხარე ბოდიშს მოიხდის იმ ინციდენტის გამო, რომელიც სახელმწიფო დუმის დეპუტატ გავრილოვთან დაკავშირებით მოხდა, ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს საგარეო პოლიტიკას. პირადად მე ვფიქრობ, რომ ჯერ ბოდიშს ვიხდით და მერე მივდივართ სტუმრად, არ შეიძლება, წახვიდე სტუმრად ქვეყანაში, სადაც აგრესიული ხულიგნები დეპუტატს თავში ბოთლებს ურტყამენ. ჩვენ ველოდებით ჩვენი ქართველი კოლეგებისგან, რომ ისინი ბოდიშს მოიხდიან. დიდი იმედი გვაქვს, რომ ქართულ ენაში არსებობს სიტყვა სინდისი, ამ სიტყვის მნიშვნელობას ბევრი გაიზიარებს. აი, მაგალითად, ფრანგულში, ინგლისურში, ასეთი სიტყვა არ არის“,** — განაცხადა რუსეთის დუმის თავმჯდომარის მოადგილემ **პიოტრ ტოლსტოიმ.**

რუსეთის დუმის დსთ-ს ქვეყნების კომიტეტის თავმჯდომარე **ლეონიდ კალაშნიკოვი** აცხადებს, რომ არ სურს მისი ფაქტორი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გამწვავების მიზეზი გახდეს: **„მე საერთოდ არ განვიხილავდი ვინ წავა, ეს ჩემი კომპეტენცია არ არის, ამას სახელმწიფო დუმა განიხილავს. ვიაჩესლავ ვოლოდინი გადაწყვეტს, ვინ წავა რუსული დელეგაციიდან და ვინ უხელმძღვანელებს მას. მე ვოცნებობ, წავიდე საქართველოში, მაგრამ ვიცი, რომ ეს მარტივი არ არის და, რა თქმა უნდა, მე არ ვისურვებდი, თუკი ჩემი გვარის მიმართ არის რაღაც მიუღებლობა, გავამწვავო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები“,** — აღნიშნა კალაშნიკოვმა.

რუსეთის დუმის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ლეონიდ სლუცკი** ამბობს, რომ არ შეიძლება რუსეთსა და საქართველოს შორის ცუდი ურთიერთობები დიდხანს გაგრძელდეს. ამასთან, სლუცკი სალომე ზურაბიშვილსაც აქებს და მას ჭკვიან და დახვეწილ ადამიანად მოიხსენიებს:

**„მოდით, არაფერი გამოვრიცხოთ დროზე ადრე, იმედი მაქვს, რომ ქართული წარმომადგენლობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში იქნება დაბალანსებული, პროფესიონალური, როგორც საქართველოს პრეზიდენტია, რომელიც პროფესიონალი დიპლომატია. ძალიან ჭკვიანი, დახვეწილი ადამიანია, რაც საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლამაც აჩვენა, მაგრამ ამასთან, რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგობების კვანძი არ იხსნება და ამაში რუსეთი არ არის დამნაშავე.**

**აქედან გამომდინარე, მოდით, შევხედოთ, მზად ვართ თუ არა შემხვედრი ნაბიჯებისთვის. ჩემი ხედვით, რუსეთსა და საქართველოს შორის არ შეიძლება, ცუდი ურთიერთობები დიდხანს გაგრძელდეს. მეზობლებმა უნდა გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ნაბიჯები სწორედ აქ, ევროპის საბჭოში გადაიდგმება“,** — განაცხადა სლუცკიმ.

# საქართველო რუსეთს მოუწოდებს, 1500 ქართველს 10 მილიონი ევროს კომპენსაცია გადაუხადოს

**საქართველო რუსეთს მოუწოდებს, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეასრულოს. საუბარია რუსეთიდან გამოძევების გამო 1500 ეთნიკური ქართველისთვის კომპენსაციის გადახდაზე. თანხის ოდენობა, დიდი პალატის გადაწყვეტილებით, 10 მილიონი ევროა.**

2019 წლის 31 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც, **რუსეთის ფედერაციამ საქართველოს 1 500 მოქალაქეს, არამატერიალური ზიანის მიყენებისთვის კომპენსაციის სახით, 10 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.** მაშინ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც წერდა, რომ რუსეთმა ეს თანხა დაზარალებულ ქართველებს 3 თვის ვადაში უნდა გადაუხადოს, თუმცა მას შემდეგ ერთი წელი გავიდა და რუსეთს დაკისრებული პასუხისმგებლობა არ შეუსრულებია.

# ტრამპმა „ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა“ წარადგინა

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმა“ წარადგინა, რომლის მიხედვითაც, ისრაელის დედაქალაქი იერუსალიმი უნდა იყოს.** ამასთან, პალესტინის სახელმწიფოს დედაქალაქად აშშ-ის პრეზიდენტი იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილს მოიაზრებს.

**„ჩემი ხედვა ითვალისწინებს სარგებელს ორივე მხარისთვის. რეალისტური გადაწყვეტილებაა ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველზე, რაც პალესტინის სახელმწიფოებრიობის მხრიდან ისრაელის უსაფრთხოების მიმართ რისკს მოხსნის. დღეს ისრაელმა გიგანტური ნაბიჯი გადადგა მშვიდობისკენ. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მომაწოდა ინფორმაცია, რომ ჩემი ხედვის, როგორც პალესტინელებთან პირდაპირი მოლაპარაკებების საფუძვლის მხარდაჭერა სურს. ეს ისტორიული გარღვევაა“,** — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

გეგმის პრეზენტაცია ტრამპმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად თეთრ სახლში გამართა. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, მისი გეგმა შესაძლოა, „ბოლო შანსი“ იყოს პალესტინელებისთვის. ტრამპის გეგმით, პალესტინელებმა უარი უნდა თქვან ძალადობაზე და შეწყვიტონ იმ ადამიანების ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებსაც ისრაელელებზე თავდასხმაში ედებათ ბრალი.

ამასთან, ტრამპის თქმით, ისრაელმა პირველად დაადასტურა „კონცეპტუალური რუკის გამოშვება, რომელზეც ილუსტრირებული იქნება ის ტერიტორიული კომპრომისები, რაზეც ისრაელი მშვიდობის გამო წავა“.

**აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ამ რუკის მიხედვით, პალესტინის ტერიტორია გაორმაგდება, ხოლო პალესტინის დედაქალაქი აღმოსავლეთ იერუსალიმში იქნება, „სადაც აშშ საელჩოს გახსნის“. აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე პირობა დადო, რომ 50 მილიარდი დოლარის ინვესტიციას დააბანდებს პალესტინის სახელმწიფოში. ტრამპის თქმით, ამის შედეგად შეიქმნება ერთი მილიონი სამუშაო ადგილი. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების გეგმა დონალდ ტრამპის სიძემ და მისმა მრჩეველმა ჯარედ კუშნერმა შეიმუშავა.**

თავის მხრივ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ გეგმის მიხედვით, ისრაელის იურისდიქცია გავრცელდება მდინარე იორდანეს ნაწილზე — იორდანეს დაბლობზე და ებრაელთა დასახლებებზე სამარიასა და იუდეაზე. როგორც ისრაელის ოფიციალური პირები აცხადებენ, პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ რუსეთში გაემგზავრება, სადაც ტრამპის მიერ წარდგენილ წინადადებებს ვლადიმერ პუტინთან განიხილავს.

# მიგრანტებმა სასაზღვრო გადასასვლელი შტურმით აიღეს

**სერბეთის ჩრდილოეთ ნაწილში ახლო აღმოსავლეთიდან ჩასულმა მიგრანტებმა საზღვრის გადაკვეთა და უნგრეთის ტერიტორიაზე გადასვლა სცადეს. ინციდენტი სასაზღვრო გადასასვლელზე მოხდა.**

**რამდენიმე ათეულმა ადამიანმა სასაზღვრო-გამშვები პუნქტზე შტურმი მიიტანა. უნგრელი მესაზღვრეები იძულებულები გახდნენ, ხალხის შესაჩერებლად ჰაერში რამდენჯერმე გაესროლათ. როგორც უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულია რამდენიმე ადამიანი.**

# მეხანძრეების აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა

**საფრანგეთის დედაქალაქში ათასობით ადამიანი გამოვიდა. მათი მოთხოვნა პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლა და პრემიის შენარჩუნება იყო. პოლიციამ განსაკუთრებულად აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლმდენი გაზი და ხმოვანი ყუმბარები გამოიყენა. გავრცელებული ცნობით, დაპირისპირებისას რამდენიმე ადამიანი დაშავდა, 2 კი დააკავეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეხანძრეების მოთხოვნა დააკმაყოფილა.**



# იერუსალიმი არ იყიდება!

**პალესტინის ავტონომიის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირების შესახებ ტრამპის მიერ წარდგენილ გეგმას „შეთქმულება“ უწოდა.** ამის შესახებ განცხადება პალესტინის ავტონომიის ლიდერმა სატელევიზიო მიმართვაში გააკეთა.

**„იერუსალიმი არ იყიდება, თქვენი შეთქმულება არ იმუშავებს. ჩვენ არ მოგცემთ საშუალებას, პალესტინელების ისტორიული უფლებები უგულებელყოთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ პალესტინის სახელმწიფოს, რომლის დედაქალაქი იერუსალიმია“,** — განაცხადა მაჰმუდ აბასმა.

აბასმა მოუწოდა პალესტინელებს, ტრამპის მიერ წარდგენილი გეგმის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

**„აბასმა განაცხადა, რომ მზადაა, ისრაელთან მოლაპარაკება „ახალო აღმოსავლეთის კვარტეტის“ შუამავლობით გაიმართოს, რომელშიც შედიან რუსეთი, აშშ, გაერო და ევროკავშირი. „ჩვენ ახლო აღმოსავლეთში შუამავლად მხოლოდ აშშ-ს არ მივიღებთ“,** — განაცხადა მაჰმუდ აბასმა. მისივე თქმით, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზა პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა, 1967 წელს დადგენილ საზღვრებში.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** ცხოვრობს, მოღვაწეობს და დღეგრძელობს ქართველი პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ოთხი პოეტური კრებულის ავტორი, მთარგმნელი, კომპოზიტორი, მომღერალი, მუსიკოს-შემსრულებელი, მხატვრული კითხვის ოსტატი, გურამ საღარაძის სახელობის კონკურსის „მხატვრული კითხვის დიდოსტატების“ გამორჩეული დიპლომატი, რომელიც პროფესიით სამთო ინჟინერი — შახტმშენებელია, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მეცნიერ-გამომგონებელი. იგი მოსკოვის 1975 წლის შახტმშენებელთა საკავშირო კონკურსის ერთადერთი მონაწილეა ამიერკავკასიიდან დამოუკიდებელი მეცნიერული ნაშრომით და ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულიც (ჟურნალი „Шахтное Строителстьво“, Август, 1976 г. Москва).

ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, გიორგიანელთა გალერეის დამფუძნებელმა გვანჯი მანიამ შექმნა ამ პიროვნების, გალერეის ერთ-ერთი გმირის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბანერი, რომელიც თარგმნილია უცხო ენებზე.

ეს პიროვნება „თბილისის ტრუბადური“, მწერალთა კავშირის მიერ „ღვაწლმოსილის“ წოდებამინიჭებული, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საზოგადოება „ხონელის“ საპატიო წევრი, ბატონი გურამ გრიგოლის ძე ჭავჭანიძე 2020 წლის 30 იანვარს 88 წლისა ხდება...

**ᲯᲣᲜᲘ ᲨᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი**



**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲭᲐᲕᲭᲐᲜᲘᲫᲔ**

# ᲐᲠᲐ, ᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲠᲓᲔᲒᲐ!

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

გაუმარჯოს თბილის ქალაქს,
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ აშუღს და იმ მეზურნეს,
იმ მექისეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ ბოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა.
ვინც თბილისის ცა მოხატა,
ვინც უმღერა თბილისელებს,
კრძალვით ქუდი მოუხადა
ლამაზმანებს, გულის მკვლელებს.
ვისაც ახსოვს საოცარი
თბილისური ეზოები,
ყველა ჯურის, ყველა გვარის
თან შეზრდილი მეზობლები.
ვისაც ახსოვს სანუკვარი
დუქნები და ყაფაზები,
მტკვარზე — ტივი, ტივზე — კვარი,
სირაჯები, ხაბაზები,
ვინც იხსენებს: „საათნოვა
რომ მღეროდა შაითანთან“,
ვისაც ტრფობამ დაათოვა
და თბილისით დაიშანთა,
ვისაც ახსოვს ანაიდა,
ერთა ძმობის მომღერალი,
გულმართალი, სათნო, წმინდა,
სიყვარულით სავსე ქალი,
გაუმარჯოს, ვინაც მტკვარში
თავი გაიმამაცურა,
თავის დროზე, ბავშვობაში,
ვინაც მტკვარი გადაცურა,
ვინც თბილისი შეიცნო და
მისი ტრფობა დაინათლა,
ვინც თბილისი შეიგრძნო და
თბილისელად მოინათლა.
გაუმარჯოს თბილისელთა
ნაირ-ნაირ გვარ-სახელებს,
ვინც ლოცულობს თავის ღმერთთან,
მაგრამ თბილისს ასახელებს.
გაიხარეთ, თბილისლებო,
დიდებო და პატარებო,
ჩვენო დებო, ჩვენო ძმებო,
ხელისგულზე სატარებო.
გაუმარჯოს თბილის ქალაქს,
ძმობის ქალაქს, ტრფობის ქალაქს,
იმ მეეტლეს, იმ მეჩექმეს,
იმ მექუდეს და იმ დალაქს,
ყველას, ვინც აქ ჩამოვიდა,
იქნებ წავიდ-წამოვიდა,
მაგრამ ბოლოს აქ დარჩა და
მისგან კაცი გამოვიდა.

## ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘᲗ ᲣᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲓ!

ჩვენი სამშობლო განა მარტო
ლურჯი მთებია...
ქართველთა შორის სიყვარული
მომნატრებია,

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს
ცის კამარაზე“,
არც ლურჯი მთები იარსებებს,
არც სილამაზე.

რამ დაუბინდა ნეტა ქართველს
სული ნათელი,
რამ შეაძულა ნეტა ქართველს
მოძმე ქართველი?

ბოღმით და შურით ეს ქვეყანა
ვერ გადარჩება,
თუ დავჭამთ ერთურთს, ლურჯი მთები
სხვას არ დარჩება?

ნუ ვუმტრობთ ერთურთს, დებო, ძმებო,
ვესიყვარულოთ.
ვერ გადავრჩებით, ქართველებო,
უსიყვარულოდ!

## ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲥᲝᲩᲔᲩᲐᲨᲕᲘᲚᲡ

თქვენი წიგნი, ვარდისფერი,
ცისფერი და დარდისფერი
მეც იმ ლამაზ წლებს მახსენებს,
მეც თქვენსავით არ მასვენებს.

და თუ ქვეყნად სიყვარული
არასოდეს გათავდება,
ალბათ, გულში მიმალული
სევდაც მიტომ არ თავდება.

მაინც არ მწამს, რომ სიყვარულს
ამა ქვეყნად სხვა რამ სჯობდეს,
ნეტავ, ტკივილს, თუნდაც ფარულს,
ყველა თქვენებრ დარაჯობდეს.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚ �გᲔᲜᲡ

აღარც ცოტნეა, აღარც თევდორე,
აღარც ერეკლე, აღარც ილია,
ქართულო გენო, იმძლავრე, თორემ
ლამის იმედი სულ დაილია.

## ᲖᲦᲕᲐᲨᲘ

ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა,
შენი მზე და სიყვარული ზღვაში,
ვნების ტალღა ძუ მგელივით გვეცა,
შენი მკერდიც ზღვას მოჰგავდა მაშინ.
მერე, როცა მოიქუფრა ზეცა,
როცა ვნებაც გაიცვალა სხვაში,
სიყვარული მოგონებად გვექცა
და მზესავით ჩაიძირა ზღვაში.

## „ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ, ᲫᲐᲚᲡᲐ ᲨᲔᲜᲡᲐ“

**მოდი, დავიწყოთ ისევ თავიდან,**
**რადგან სიცოცხლეს ჯვარი სწერია**

რა ვქნა, ეს გული რამ გადარია,
ისევ დარია, განა ბინდია,
მე კი „აპრილი“ კვლავ მიხარია
და გულში შენი ცეცხლი მინთია.

მიყვარხარ ისე, სულ შენთან მინდა,
ო, იცი, როგორ გავიხარებდი,
დამაწყებინა ნეტავ თავიდან,
შენ გარდა არვის გავიკარებდი!

## ᲐᲮᲚᲐᲪ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲛᲘᲖᲘᲮᲐᲠ

ვიხსენებ თბილისს, შვენოდი როცა,
შენ უნაზესი შირაზის ვარდი,
იმ ლამაზ დღეებს ვიგონებ, ვლოცავ,
ჩემ უნებურად რომ შემიყვარდი.

როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი,
ჩემი აპრილიც შენ იყავ ერთი,
სიტყვის უთქმელად შენც რომ მიხმობდი,
შენც პოეზიის რომ გწამდა ღმერთი.

ახლა შენს სახლთან ჩავივლი როცა, —
შემომაწვება წყეული დარდი,
იმ ლამაზ დღეებს ვიხსენებ, ვლოცავ,
დაუფარავად შენც რომ გიყვარდი.

## ᲨᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝ

რაც ჩემს სიცოცხლეს შვენის,
სულს მინათებს და მითბობს,
ეს ღიმილია შენი
და მაგ თვალების სითბო.

შენკენ სავალი გზები
გადამენისლა თითქოს,
ვაგლახ, არ დამყვა ფრთები,
გული კი ფრენას ითხოვს.

სადღაც ბულბული კვნესის,
რიჟრაჟს შეაკვდა ღამე,
შენთვის სათქმელი ლექსი
ცხარე ცრემლებით ვნამე.

მაინც ცისკარი მშველის,
სულში მეღვრება თითქოს,
როგორც ღიმილი შენი
და მაგ თვალების სითბო.

# ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ ᲘᲕᲡᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ 2019 ᲬᲔᲚᲡ 38 817 ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ, 9608 ᲤᲝᲢᲝ, 150 ᲤᲝᲜᲝᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲓᲐ 495 ᲙᲘᲜᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ, ᲘᲡᲔ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ.**

2019 წელს ეროვნულ საარქივო ფონდს შეემატა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას არქივი — პირადი წერილები და ფოტოები, რომელიც ეროვნულ არქივს მისმა მეუღლემ რუსუდან ბერიძემ გადასცა.



ამიერიდან არქივში იქნება დაცული რეჟისორ **ალექსანდრე რეხვიაშვილის** მხატვრული ფილმები — „მიახლოება“ და „საფეხური“, რეჟისორ **ბონდო შოშიტაიშვილის** ანიმაციური ფილმები: „ფაკირი“, „კაცუნები“, „განხეთქილების ვაშლი“, „ალიყური“.

გარდა ამისა, არქივის ფოტოკოლექცია გამდიდრდა ველომოგზაურ **ჯუმბერ ლეჟავას** ფოტოარქივით, რომელიც 1993-2002 წლებში 200-ზე მეტ ქვეყანაში მის მოგზაურობას ასახავს. ეროვნული საარქივო ფონდის ნაწილი გახდა ასევე მუსიკოს **რუსუდან ხოჯავასა** და ისტორიკოს **დემურ გურეშიძის** პირადი არქივები.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და მათი გაცნობა ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზებშია შესაძლებელი.

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ

**�პᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ვროცლავში პოლონეთის არმიის ქართველ ოფიცერთა სახელობის მოედანი გაიხსნა.**

სკვერის გახსნის ცერემონიალი პოლონეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებიდან 101 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიებაში მონაწილეობდა ქალაქ ბათუმის დელეგაცია. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს პოლონეთის ქალაქ ვროცლავსა და ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა.

◎ სეზონის წინ

# ჰოლანდიური დესანტი

**საქართველოს 2018 წლის ჩემპიონმა „საბურთალომ“ შემტევი ნახევარმცველი ჟეროენ ლუმუ დაიმატა. როგორც თბილისური კლუბი იტყობინება, ფეხბურთელთან 1+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

ლუმუ უკვე დედაქალაქშია და გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. ჰოლანდიელი ბოლოს პორტუგალიურ „არაუკაში“ ირჯებოდა, ხოლო 2012 წელს 17-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი გახდა.

კარიერის განმავლობაში ასევე უთამაშია „ვილემ II“-ში, „ჰერენვენში“, „დოორდრეხტში“, „სანქტ პიოლტენში“, „სამსუნსფორში“, „პეტროლულსა“ და „ლუდოგორეცში“.

შეგახსენებთ, რომ მანამდე „საბურთალოში“ კიდევ ერთი ჰოლანდიელი, მცველი **ჯულიუს ბლეიკი** ჩაირიცხა..

**გიორგი შოთაძე**

◎ ძალოსნობა

# უკვე – ხუთი!

**რომში** მიმდინარე ძალოსნობაში მსოფლიო თასზე შოთა მიშველიძემ სამი მედალი მოიპოვა. 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა სპორტსმენმა ატაცში 123, 128 და 131 კილოგრამები დაძლია და მეორე კატეგორიის სინჯის ჯილდოს დაეუფლა.

საქართველოს ძალოსანთა ეროვნული გუნდის წევრმა აკვრაში 145,151 და 155 კილოგრამები დააფიქსირა და მეორე ვერცხლის მედალი ხვდა.

ორჭიდის ჯამში შოთა მიშველიძის შედეგი 286 კილოგრამი დიდი ვერცხლისთვისაც გამოდგა საკმარისი.

თანაგუნდელს კარგად აუბა მხარი გოგა ჩხეიძემ, რომელიც ბრინჯაოს 2 მედალს დაეუფლა.

67-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მან ატაცში მაქსიმალური შედეგი 133 კილოგრამი დააფიქსირა, ხოლო აკვრაში ჩხეიძის ზღვარი 158 კილოგრამი იყო, რაც მესამე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

ქართველმა ძალოსანმა ორჭიდის ჯამში 291 ქულას მოუყარა თავი და საერთო ჩათვლაშიც ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს 5 მედალი დაუგროვდა: 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

საქართველოს ღირსებას იტალიის დედაქალაქში კიდევ 2 ძალოსანი დაიცავს: ანატოლი პლესნოი და ლაშა ტალახაძე.

**კოგა კოგახიძე**

◎ კარატე

# ახლოა ტოკიომდე

**კარატეში** მსოფლიოს ექს-ჩემპიონ გოგიტა არქანიასთვის წლევანდელი სეზონის დასაწყისი წარმატებული აღმოჩნდა — ქართველმა სპორტსმენმა ერთ თვეში ორ მედალს გამოჰკრა ხელი. ნაახალწლევს სანტიაგოში (ჩილე) პრემიერლიგის ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — ნახევარფინალი გერმანელ ჯონათან ჰორნესთან წააგო მინიმალური ანგარიშით — 0:1, სამაგიეროდ, პარიზში, ასევე პრემიერლიგის პირველობაზე იყოჩაღა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ჩვენებური პირველ წრეში თავისუფალი იყო, მერე ზედიზედ დაამარცხა სლობოდან ბიტევიჩი (სერბეთი, 3:1), მაჩეი გებკა (პოლონეთი, 3:1), მეჰდი ფილალი (საფრანგეთი, 4:3), ნახევარფინალში გერმანელ ჯონათან ჰორნესთან დამაჯერებელი რევანში აიღო (5:0) ჩილეში მარცხისთვის, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ფრანგი ჟაკ ნილსონი დაჯაბნა — 4:3, ვისაც წინა ტურნირშიც აჯობა, ოღონდ — 3:1. მესამე ადგილებზე სალეხ აბაზარი (ირანი) და ჯონათან ჰორნე გავიდნენ.

ამ გამარჯვებით გოგიტა არქანიამ საოლიმპიადე მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. მართალია, ტოკიო 2020-ის რეიტინგში 5760 ქულით ისევ მეექვსე ადგილზეა, მაგრამ კონკურენტებთან ქულათა სხვაობა საგრძნობლად შეამცირა.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ოლიმპიადაზე პირველად გათამაშდება მედლები კარატეში და ქალ-ვაჟთა სამ-სამ წონით კატეგორიაში 10-10 სპორტსმენი იბრძოლებს მედლებისთვის. მძიმე წონაში (+75 კგ) ტოკიოს ტატამზე გამოსვლის რეალური კანდიდატია გოგიტა არქანია, სულ კი რეიტინგით ოლიმპიადაზე ოთხ-ოთხი სპორტსმენი მოხვდება. დღევანდელი მონაცემებით ქართველი კარატისტი მეექვსე ადგილზეა. მას უსწრებენ უგურ აქთაში (თურქეთი, 9352.5), საჯად განჯზადეხი (ირანი, 8137.5), ზაბიოლახ პურშაბი (ირანი, 7785), ჯონათან ჰორნე (გერმანია, 7042.5) და ივან კვესიჩი (ხორვატეთი, 6187.5). ამათგან პარიზში აქთაშმა 84 კილოში მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო კვესიჩი სამეულში ვერ მოხვდა, ამიტომაც წინა მონაგარი მხოლოდ მცირედით გაიუმჯობესეს.

სამაგიეროდ, არქანიას ჰორნესთან, რომელიც რეიტინგში, ფაქტობრივად, მეოთხეა, რადგან ერთი ქვეყნიდან ოლიმპიადაზე ორი სპორტსმენი ვერ წავა, 1300-მდე ქულა აშორებს, რაც ძნელი აღმოსაფხვრელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სალიცენზიო ფანჯრის დახურვამდე წინ კიდევ ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა — 14-16 თებერვალს დუბაის პრემიერლიგა და 23-29 მარტს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ევროპის ჩემპიონატი, რომლებიც სოლიდურ სარეიტინგო ქულებს იძლევა.

პარიზის პრემიერლიგაზე, არქანიას გარდა, 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით პატარიძემ იასპარეზა. პირველ წრეში მან სტიეპან შტიმაცი (ხორვატეთი) დაამარცხა — 5:1, მაგრამ ალი ელსავისთან (ეგვიპტე) ვერაფერს გახდა (0:5) და უმედლოდ დარჩა.

**ბეჟან დოლიძე**

◎ წინათგრძნობა

# ერთად არ მგზავრობდნენ

**კობი ბრაიანტი** და მისი მეუღლე ვანესა ბრაიანტი ვერტმფრენით ერთად არასდროს მგზავრობდნენ. როგორც ცნობილი გახდა, „შავ მამბას“ რჩეულთან შეთანხმება ჰქონდა, რადგან არ სურდა, რომ ტრაგედიის შემთხვევაში მისი შვილები დაობლებულიყვნენ.

ამის შესახებ გამოცემა People-ს ბრაიანტების ოჯახის ახლობელმა უამბო: **„მას და ვანესას შეთანხმება ჰქონდათ, ერთად არ ემგზავრათ ვერტმფრენით. ეს არის ძალიან რთული, დამანგრეველი დრო ვანესასთვის და მთელი ოჯახისთვის. წინადადებას ტირილის გარეშე ვერ ამთავრებს, მაგრამ ცდილობს, ძლიერი იყოს და ძალიან ბევრს მუშაობს ამაზე. მას გარშემო ჰყავს ხალხი, რომელთაც უყვართ და უყვარდათ კობი. ვანესა მარტო არ არის, მაგრამ ამას დიდხანს იდარდებს“,** — ციტირებს ამერიკული გამოცემა ოჯახის ახლობლის სიტყვებს.

კობი ბრაიანტმა მგზავრობისთვის ვერტმფრენის გამოყენება ჯერ კიდევ „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ თამაშის დროს დაიწყო. ამის შესახებ 2018 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა. მიზეზად კობიმ მანქანების საცობი დაასახელა, რის გამოც ძალიან ბევრ დროს ჰკარგავდა, ვერტმფრენით კი შეეძლო 15 წუთში დანიშნულების ადგილზე მისვლა და ამ გზით საკუთარ ოჯახთან უფრო მეტი დროის გატარებას ახერხებდა. სწორედ ამის გამო დაიწყო ვერტმფრენით სარგებლობა.

ოჯახის ახლობელი იმასაც ამბობს, რომ კობი მხოლოდ გამოცდილ პილოტს არა ზობაიანს ენდობოდა, რომელიც ავიაკატასტროფის დროს ვერტმფრენს მართავდა და დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ ტრაგედიას კობი ბრაიანტი, მისი 13 წლის ქალიშვილი ჯანა და ბორტზე მყოფი კიდევ 7 ადამიანი ემსხვერპლა. ბრაიანტს მეუღლე და სამი შვილი — 17 წლის ნატალია, 3 წლის ბიანკა ბელა და 7 თვის კაპრი დარჩა. კობიმ და ვანესამ ერთმანეთი 1999 წელს გაიცნეს, ხოლო 2001 წლის აპრილში დაქორწინდნენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ჩოგბურთი

# ტიტანთა 50-ე!

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მელბურნის კორტზე კანადელი მილოშ რაონიჩი 6:4, 6:3, 7:6 დაამარცხა და ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში როჯერ ფედერერს შეხვდება.

სერბმა მილოშს დაძაბულ ბრძოლაში, მაგრამ მაინც მარტივად მოუგო. დუელი ორ საათსა და 53 წუთს გაგრძელდა.

ჯოკოვიჩისა და ფედერერის მატჩი დღეს გაიმართება. ურთიერთშეხვედრებში ბალკანელი 26:23 იგებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ არის ასეთი ვერსიაც!

# რატომ მაინცდამაინც ჩინეთში?

**კორონავირუსმა ნავთობის ფასის დაცემის პარალელურად (რაც 25 იანვრის პროგნოზით ვივარაუდეთ), ასევე ფინანსური ბაზრების დაცემაც გამოიწვია .**

**შანხაი კომპოზიტის ინდექსი დაეცა — 2,75%-ით;**
**იაპონური ნიკეის ინდექსი— 2%-ით;**
**სტანდარტ ფურის ინდექსი — 1,5%-ით;**
**ასევე დაეცა რუსეთის ბირჟის ინდექსებიც;**
**ნავთობი დაეცა — 2%-ით;**
**სპილენძის ფასი დაეცა — 2,5%-ით;**
**პალადიუმის ფასი — 4%-ით;**

**ბლუმბერგის გათვლებით მაკაოში, რომელიც აზარტული თამაშების დედაქალაქადაა წოდებული მოთამაშეთა რაოდენობა 80%-ით შემცირდა.**

**ჩინეთში ეკონომიკური პროცესების ტემპი ნელდება. ასევე მცირდება ჩინეთის მხრიდან საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციისა და ნედლეულის შესყიდვები.**

**საფონდო ბაზრებზე ასეთი მდგომარეობა, სავარაუდოდ, კიდევ 3 კვირის განმავლობაში შენარჩუნდება(თუ კიდევ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა ჩინეთში).**

**კორონავირუსმა საფონდო ბაზრების კორექცია დაა ჩქარა.**

**გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია, ფასები გაიზარდოს გაზზე.**

**ინვესტორები თავიდან იცილებენ რისკიან აქტივებს.**

**ამ ფონზე ძლიერდება აშშ-ის დოლარი, ოქრო, ფრანკი და იაპონური იენა.**

## ახლა მოკლე ისტორიული მიმოხილვა და კითხვა, რატომ ჩინეთი?

კაპიტალიზმი, კლასიკური გაგებით, ეს არის წარმოების ზრდა გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ იმისათვის რომ მოთხოვნა გაიზარდოს, ამისათვის საჭიროა, ხალხს ჰქონდეს ფული. ხოლო იმისათვის, რომ ხალხს ფული ჰქონოდა, დაიწყო მათვის ფულის მიწოდება კრედიტების სახით (სამომხმარებლო კრედიტის სახით). მოკლედ კრედიტების რამდენიმე სერიამ, რომელიც დაიწყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, გარკვეულ დონემდე ჩაითრია მსოფლიო მოსახლეობა ვალების წიაღში. ხალხს აღარ ჰქონდა ფული, რომ დაეფარა აღებული კრედიტები, აქ უკვე წამოვიდა შემდეგი ახალი ტალღა, იაფფასიანი კრედიტის სახელწოდებით, ანუ იმისათვის რომ დაეფარათ ძველი კრედიტები, მიაწოდეს ახალი, შედარებით დაბალ პროცენტად და დაიწყო ახალი კარუსელი. გადაიფარა ძველი და ცოტა დარჩენილი ფულით კიდევ შეეძლოთ რამის ყიდვა. მოკლედ, ვალებში გაეხვა სახელმწიფოებიც. ამიტომაც დღის წესრიგში დგას, გადაიტვირთოს ეს სისტემა.

მოკლედ, აქვე ასევე გავიხსენოთ ის ამბებიც, იმისათვის რომ აშშ-ს და სხვა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს გაეყიდა პროდუქცია, იგი უნდა ყოფილიყო იაფი. ამიტომაც ნელ-ნელა წარმოებებმა (იაფი მუშახელის გამო) გადაინაცვლა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. ანუ ამ ქვეყნებში ხალხს უნდა ემუშავა თვეში ერთი ტომარა საჭმლისათვის და შექმნილი პროდუქცია უნდა გაყიდულიყო ასევე იაფად განვითარებულ ქვეყნებში.

აი, ამ სისტემაშიც მოხდა შეფერხება.

კერძოდ, გაიხსნა თუ არა ჩინეთში ახალი საწარმოები, ჩინელებმა აქტიურად დაიწყო თავისი ეკონომიკის განვითარება და ბოლოს არ ემორჩილებოდა იმ მითითებებს, რაც მოდიოდა ოკეანის გაღმიდან.

მოკლედ, ამჯერად აქ გავჩერდები, და ვიფიქროთ ვერსიაზე, რა დანიშნულება აქვს კორონავირუსს? რატომ გაჩნდა ის ჩინეთში?

თუ საუბარია ანტისანიტარიაზე და იმ საკითხზე, რომ ჩინეთი იკვებება ისეთი პროდუქტებით, რომელიც სხვა სახელმწიფოების ბინადართათვის მიუღებელია, მაშინ გავიხსენოთ ინდოეთიც, იქვე ახლოსაა, რომელიც უარესი ანტისანიტარიასაა და ეპიდემიის ბუდეა.

დავსვათ კითხვა და დავფიქრდეთ, რატომაა უმეტესი ეპიდემიის კერა ჩინეთი და არა თუნდაც ინდოეთი? ასევე გავიხსენოთ ქათმის გრიპის ვირუსი, ღორის გრიპისა და პნევმონიის ვირუსები.

რა ხდებოდა ამ დროს? თავიდან სამი-ოთხი თვის განმავლობაში იყო დიდი შეშფოთებები და შემდეგ ნელ-ნელა მივიწყებას მიეცემოდა ეს ყველაფერი.

მოკლედ, ჯერჯერობით თავად განსაჯეთ, იფიქრეთ და თუ დრო მექნა, ჩემს ხედვას ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ.

**ნიკა შენგელია,**
**ანალიტიკოსი**
FOR.GE

# ავადმყოფებს რობოტი კვებავს

**ჩინეთში ადამიანებს, რომლებსაც შესაძლოა, კორონავირუსით დაინფიცირებულებთან ჰქონდათ კონტაქტი და კარანტინში იმყოფებიან, საკვებს რობოტი ურიგებს. ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, რომელიც ჰანჯოუს სასტუმროშია გადაღებული. რობოტს „პატარა მიწის თხილი“ ჰქვია.**

ამასთან, ჩინეთში კორონავირუსით გარდაცვლილთა რიცხვი 132-მდე გაიზარდა.

◎ ფაზისძალაძის შუძჩრდილი

# ფოთის ნავსადგურის ღრმაწყლოვან პორტად ქცევის საკითხი ისევ გააქტიურდა

**„ეიპიემ ტერმინალს ფოთი“ აგრძელებს ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტზე აქტიურ მუშაობას, — იუწყება „ეიპიემ ტერმინალს ფოთი“ და იმედს გამოთქვამს, რომ დროულად მიიღებს „ყველა საჭირო ნებართვას“ და 2022 წლის მეორე კვარტალის ბოლოს ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პირველი ფაზა დასრულდება.**

კომპანიის განცხადებით, „ეიპიემ ტერმინალსი“ მიჰყვება ახალი ღრმაწყლოვანი პორტის განვითარების გეგმას პირველ ფაზაში 250 მილიონ დოლარზე მეტი კერძო კაპიტალის და მეორე ფაზაში დამატებით სოლიდური მოცულობის თანხის ინვესტირებით, ნავსადგურის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური ბაზის მასშტაბური განვითარებისათვის.

**„აღნიშნული ინვესტიცია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფოთის საზღვაო ნავსადგურში არის ნათელი მაგალითი ჩვენი ერთგულებისა და რწმენისა საქართველოს, როგორც ქვეყნისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით სატრანსპორტო დერეფნის განვითარების ძალისხმევისადმი. ნავსადგურის გაფართოების პროექტი, რომლის ხარჯიც უმნიშვნელოა ქართველი გადასახადების გადამხდელებისათვის, იქნება ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარების საწინდარი, შესთავაზებს რა ჩვენს მომხმარებლებს საუკეთესო ლოგისტიკურ მომსახურებებს და გამოიყენებს მსოფლიო დონის კომპანიის გამოცდილებასა და რესურსებს, ასევე, შექმნის ათასზე მეტ დამატებით სამუშაო ადგილს და სხვადასხვა ბიზნესშესაძლებლობას ნავსადგურსა თუ მის გარეთ“,** — აცხადებს „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ გენერალური დირექტორი **კელდ ქრისტენსენი.**

კომპანიის განცხადებით, ფოთის საზღვაო ნავსადგურის გაფართოების გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობას წარედგინა, მოიცავს მშენებლობისა და განვითარების ორ ეტაპს. პირველი ეტაპი გულისხმობს 1,700 მეტრი სიგრძის მოლისა და მრავალფუნქციური ნავმისადგომის მოწყობას ზომებით 400მ. (სიგრძე) — 13.5მ. (სიღრმე). აღნიშნულ ნავმისადგომს შეეძლება 9,000 TEU-მდე მოცულობის გემების მიღება და ის შექმნის ნაყარი ტვირთებისა და დამატებით 150,000 TEU-ს დამუშავების შესაძლებლობას. მეორე ეტაპით გათვალისწინებულია 300 მეტრი სიგრძის საკონტეინერო ნავმისადგომის აშენება, რომელზეც 3 თანამედროვე STS (გემი-ნავმისადგომი) ტიპის ამწე განთავსდება. აღნიშნული ინფრასტრუქტურის წყალობით გაორმაგდება ფოთის საზღვაო ნავსადგურის საკონტეინერო გამტარუნარიანობა და გადააჭარბებს 1 მილიონ TEU-ს წელიწადში.

მშენებლობის სავარაუდო ვადები განისაზღვრება 24-30 თვით.

# მოვაჭრეთა პროტესტი

**ფოთში, მეგრელიშვილის სანაპიროზე საავტომობილო გზა გუშინ გადაკეტილი იყო. მოვაჭრეები თევზის ბაზრობის გაუქმებას აპროტესტებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე თევზის რეალიზაციისთვის არსებული სავაჭრო კონსტრუქციის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს, რადგან ის არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

მოვაჭრეები აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში ისინი თევზის რეალიზაციას სხვა ადგილზე ახორციელებდნენ, რიონის სანაპიროზე კი მერიის გადაწყვეტილებით სამი წლის წინათ გადაიყვანეს. მათთვის გაუგებარია, რატომ არ გაითვალისწინა მაშინ ხელისუფლებამ ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტების განთავსება კანონდარღვევა იყო და რატომ გაახსენდა მერიას ეს დღეს.

# ბუნებრივი აირის ნამწვით გარდაიცვალნენ

**რუსთავში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის ნამწვით ცოლ-ქმარი დაიღუპა. გარდაცვლილი მშობლები შვილმა ნახა. ოჯახი ამ ბინაში ქირით ცხოვრობდა. ადგილზე პოლიცია და „სოკარ-გაზის“ თანამშრომლები მივიდნენ.**

რუსთავში, სავარაუდოდ, წყლის გამაცხელებლის გამო, ორი ადამიანი გასულ კვირაშიც დაიღუპა.

# ანტარქტიდის საოცრება

ანტარქტიდა – ეს არის კონტინენტი, რომელიც დედამიწის სამხრეთ პოლუსზე მდებარეობს. იქ პირველად, 1820 წელს რუსული ექსპედიცია ჩავიდა. ანტარქტიდა – ეს არის ადგილი, რომელიც ყინულითაა დაფარული და უამრავ საიდუმლოს ინახავს.

**ეს არის კონტინენტი, სადაც 2 მილიონი წელია, წვიმა არ მოსულა, მაგრამ აქ არის მსოფლიოს სუფთა წყლის 80%.**

მეცნიერები, მკვლევარები და რიგითი ადამიანები შეშფოთებული არიან იმ კითხვებით, რაც ყინულოვან ოკეანეს ეხება.

მაგალითად, რამდენად სწრაფად დნება ყინული და რა იმალება ყინულის ქვეშ.

**ერთ-ერთი საოცარი მოვლენა, რომელიც ყინულის საფარის ქვეშ იმალება, არის „აღმოსავლეთის ტბა“.**

ტბის ზომა დაახლოებით 15,000 კმ-ია , სიღრმე კი – 1,200 მ. ტბა გიგანტური ყინულის საფარის ქვეშ იმალება. ყინულის საფარი 3 ათას 623 მეტრს აღწევს.

**ტბის ზედაპირზე ტემპერატურა თითქმის 90 გრადუსია. ამასთან, ტბა დიდი წნევის ქვეშ იმყოფება და მზის სხივი საერთოდ არ აღწევს. ამის გამო, მკვლევარებს არც კი დაუგეგმავთ, ტბაში სიცოცხლის ნიშნები მოეძებნათ, მაგრამ გაოცებულები იყვნენ, როდესაც იქ მიკროორგანიზმები აღმოაჩინეს.**

ისინი თანამედროვე ცხოვრებისგან სრულიად იზოლირებულად განვითარდნენ, ამიტომ არ გვანან არც ერთ, დღემდე არსებულ მიკროორგანიზმს.

**„აღმოსავლეთის ტბა“ ერთადერთი ტბა არაა ანტარქტიდაზე. მათი რიცხვი შესაძლოა, 400-მდე აღწევდეს.**

მოამზადა
**მერი კობიაშვილმა**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## სტივენ კინგი „ოსკარის“ ორგანიზატორებს ადანაშაულებს

**ამერიკელმა მწერალმა სტივენ კინგმა „ოსკარის“ დაჯილდოების ორგანიზატორები თეთრკანიანი კანდიდატებისადმი მიკერძოებულ მიდგომაში დაადანაშაულა.**

კინგის თქმით, წარსულში რასობრივი კუთხით „ოსკარზე“ გაცილებით უარესი სიტუაცია იყო შექმნილი.

**„მე საკმარისად მოხუცი ვარ, რათა მახსოვდეს დრო, როდესაც ჰოლივუდში მხოლოდ რამდენიმე აფრომამრიკელი რეჟისორი და ერთი ქალი რეჟისორი იდა ლუპინო იყო“,** – განაცხადა კინგმა. მისივე თქმით, ზოგიერთი ნიჭიერი რეჟისორის იგნორირება პრემიის ჟიურის შემადგენლობას უკავშირდება. კერძოდ, 8 წლის წინათ ჟიურის წევრთა 94%-ს თეთრკანიანები წარმოადგენდნენ, მათი 77% კი კაცი იყო. წელს ჟიურის წევრთა 32% ქალია. სტივენ კინგი ამბობს, რომ კინოაკადემია რასობრივი და გენდერული თანასწორობის მხრივ სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს, თუმცა ამას არასაკმარისად სწრაფად აკეთებს.

## ინყება ახალი „ბეტმენის“ გადაღება

**რეჟისორმა მეტ რივზმა ახალი „ბეტმენის“ გადაღების დაწყების შესახებ ოფიციალურად განაცხადა.**

ფოტოზე ჩანს, რომ გადამღები ჯგუფი უკვე მე-17 სცენას იღებს. The Batman-ში ქალაქ გოთემის მცველს რობერტ პატინსონი შეასრულებს. ფილმი ეკრანებზე 2021 წელს გამოვა.



ცნობილია, რომ ადამიანი-ღამურას ახალი კინოისტორია დეტექტიური ჟანრის იქნება, რადგან სუპერგმირის ფანები დიდი ხანია, ელოდებიან „მსოფლიოს უდიდესი დეტექტივის“ წოდების მქონე პერსონაჟზე მსგავს კინოვერსიას. მეტ რივზის თქმით, ახალი ფილმი ასევე იქნება კლასიკური კრიმინალური სტილის ე.წ. ფილმ-ნუარი.

## დაკარგულებმა ჯუნგლებში 34 დღე გაატარეს

**პერუს ჯუნგლებში დედა და მისი 3 შვილი იპოვეს, რომლებსაც გზა აებნათ და იქ 34 დღე გაატარეს.**

გასული წლის დეკემბერში 40 წლის ქალი და მისი 10,12 და 14 წლის შვილები კოლუმბიის ერთ-ერთ რეგიონს სტუმრობდნენ, რომელიც პერუს საზღვართან ახლოს მდებარეობს. დედა შვილებთან ერთად ქმართან შესახვედრად გაემართა, თუმცა ისინი გზაში დაიკარგნენ. მათი გაუჩინარების შესახებ 19 დეკემბერს გახდა ცნობილი. მომდევნო თვის განმავლობაში დედა და შვილები ჯუნგლებში მდინარის გასწვრივ გადაადგილდებოდნენ, შემდეგ კი ეკვადორის საზღვარი გადაკვეთეს და პერუში აღმოჩნდნენ. გზაში ისინი ველური კენკრითა და ხილით იკვებებოდნენ.

საბოლოოდ დედა და მისი შვილები ინდიელებმა იპოვეს და მათ შესახებ პერუელ სამხედროებს შეატყობინეს.

ქალი და ბავშვები ვერტმფრენით კოლუმბიაში დააბრუნეს, სადაც მათ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

## დაავადებული „ბარბი“

**კომპანიამ** Mattel-მა, **რომელიც „ბარბის“ მფლობელია, ახალი თოჯინების გაყიდვას იწყებს, რომლებსაც კანის დაავადებები აქვთ და ეტლში სხედან.**

კომპანიამ პოპულარული სათამაშოს ახალი ვერსიები შექმნა, რომლის მიზანიც ადამიანის მრავალფეროვანი გარეგნული მხარის წარმოჩენაა. გაყიდვაში გავიდა მაგალითად თოჯინა, რომელსაც თმა არა აქვს. კოლექციაში ასევე გამოჩნდა თოჯინა, რომელსაც კანის ლაქები აქვთ, როგორც ადამიანებს, რომლებსაც ვიტილიგოს დაავადება აქვთ. კომპანიის განცხადებით, გასულ წელს თოჯინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ეტლიანი ბარბი იყო, ამიტომ წელს ასორტიმენტის გამრავალფეროვნება გადაწყვიტეს და შექმნეს ოქროსფერპროთეზიანი აფრომამრიკელი ბარბი.

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8929; ევრო - 3.1871;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7642;
100 რუბლი - 4.6063; თურქული ლირა - 0.4867;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7037;
1000 სომხური დრამი - 6.0432.

**ამინდი 30 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +11 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +10 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე | +12 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge